745/N 11584

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905 და 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 2 (1337)

22-28 იანვარი, 1993 წ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიდა თუ არა გაღმა არძინბა?

არძინბა მოკვდაო, — გავრცელდა ხმები.

არ მომკვდარაო, — ცნობას ცნობა მოჰყვა.

რედაქციაში გვირეკავენ და გვთხოვენ ამომწურავ ინფორმაციას მისი მიცვალების შესახებ.

რედაქცია უძლურია მკითხველს რამე აუწყოს ამ ფაქტთან დაკავშირებით, გარდა იმისა, რომ არძინბა ჩვენს თვალში კარგა ხანია მკვდარია.

პროკლამაცია, რომელსაც ბავშვები ავრცელებენ

ქართველო!

გახსოვდეს, რომ იესო ქრისტემ დაწყევლა ყველა ის ქართველი, რომელიც მეორე ქართველზე აღმართავს ხელს და მოკლავს მას. გამოიჩინეთ გონიერება და მორიგდით. თქვენი თანხმობა, ძმობა თქვენი თავისუფლების საწინდარია, ვინც ამ წერილს არ გაამრავლებს-ვვ-ჯერ და არ გაავრცელებს, დაწყევლილი იქნება, რადგან მას არ უნდა ქართველთა წარმატება.

წმინდა გიორგი-ქართველთა მფარველი.

ეს პატარა ბარათი ბატონებმა რევაზ თვარაძემ და თენგიზ შატბერაშვილმა მოგვაწოდეს. მას თავგზააბნეული, დიდების საქციელით გულმოკლული პატარები ავრცელებენ.

ჩვენი გაზეთის საშუალებით გვინდა დავეხმაროთ მათ ამ მშვენიერი ჰოწოდების გავრცელება-ტირაჟირებაში.

დღეს ნომერშია:

თენგიზ კიტოვანი: «მე თუნდაც უბრალო ჯარისკაცად ვიბრძოლებ» — მე-2 გვერდზე

გურამ ფანჯიკიძე: «არა გვაქვს შეცდომის უფლება!» — მე-4 გვერდზე

ირაკლი ქადაგიშვილი: «არსებობს საშიშროება, საქართველო კონტრაბანდის ქვეყნად იქცეს» — მე-7 გვერდზე

და სხვა საინტერესო მასალები

"საქართველო იქით არ მიდის, საითაც უნდა მიდიოდეს"...

(რეპორტაჟი პოლიტიკური პარტიების შეკრებიდან)

მიმდინარე წლის 20 იანვარს გაიმართა საქართველოს ეროვნულ-განთავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების შეკრება, მიზნად ისახავს განვიხილოთ საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების სხვადასხვა ასპექტები და ჩვენი მკაფიოდ უარყოფითი პოზიცია გამოვხატოთ ამ ხელშეკრულების მიღებისადმი მასამ, სანამ არ მოხდება საქართველოდან, რუსეთის საოკუპაციო ჯარების გაყვანა, დაუყოვნებლივ კი აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან და საერთოდ, სანამ საქართველო არ დაიწყებს თავს რუსეთის ყოველგვარი გავლენის ორბიტიდან და სრულფასოვან დამოუკიდებელი ქვეყანა არ გახდება. ამასთან, ბატონმა ირაკლი წერეთელმა განსაკუთრებული ხაზგასმით თქვა იმ მდგომარეობაზე, რაც აფხაზეთში დღეს შექმნილი, რისთვისაც პასუხისმგებლობა ყოფილმა სახელმწიფო საბჭომ და პირადად სახელმწიფოს მეთაურმა უნდა იკისრონო. ისაუბრა იმ საკონსტიტუციო ეკუუმის შესახებ, რაც დღესაა შექმნილი საქართველოში და აღნიშნა, რომ საჭიროა აღსდგეს კონსტიტუცია იმ სახით, რა სახითაც არის იგი და შემდეგ მოხდეს მისი გადაშენება დღევანდელობის შესაბამისად. ბატონმა ირაკლი წერეთელმა ილაპარაკა დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკური კურსის შესახებ და აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების მიერ გატარებული კურსი არ უპასუხებს ეროვნულ ინტერესებს, მაშინ საჭირო გახდება ჩატარდეს ვადიანი საპარლამენტო არჩევნები, რომელიც მართლაც დემოკრატიული უნდა იყოს. და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე ყველა პოლიტიკურ ძალას, თვით ბატონების ედუარდ შევარდნაძისა და ზვიად გამსახურდიას ჩათვლით, მიეცეს მასში მონაწილეობის საშუალება.

ბატონმა ირაკლი წერეთელმა განაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ეროვნულ-განთავისუფლებელი მოძრაობა არ დამთავრებულა, , იგი კვლავ გრძელდება და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმ პარტიებისა და ორგანიზაციების ასეთი სისტემატური შეკრება, რომელთაც ეროვნულ მოძრაობაში თვლიან თავს და ერთგვარი საკოორდინაციო ორგანოს შექმნაც კი მიიჩნია საჭიროდ ამ ეტაპზე ეროვნული მოძრაობის პოლიტიკის მიზნამართული, ურთიერთშეთანხმებული გატარებისთვის, რომ ყოველგვარი განსეოქილება თავისი მწარე შედეგებით თავიდანვ იქნეს აცილებული და ყველა პოლიტიკურმა ძალამ, მიუხედავდ მისი განსხვავებული პლატფორმისა, თავისი წვლილი შეიტანოს სამშობლოს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში და საერთოდ, მიმართა შეკრების მონაწილეთ, დრია გაერთიანდეთ და ერთად დავდგეთ.

ქვემოთ ვთავაზობთ ზოგიერთი გამოსვლის მოკლე ჩანაწერს:

ნოდარ ნათაძე (საქართველოს სახალხო ფრონტი) — ზოგიერთები ამბობენ, რომ ჩვენ ურუსეთოდ არ შეგვიძლია და რეფერენდუმის ჩატარებასაც კი გვთავაზობენ ამ საკითხზე. მე ვთვლი, რომ დღეს, დღევანდელი მიშინის ფონზე საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარება არ შეიძლება. დღეს ჩვენში შეინიშნება ასეთი რამ: მილიციის გაუჯელობა მოიპოვოს.

მერაბ შრიდია (ქარტია-91) — ეს ხელშეკრულება მისაღებია სათაურისა და რამდენიმე პუნქტის გარდ. რაც ხდება, მოითხოვს წინაღმდეგობას ჩვენგან. სამხედრო ზონით და სოციალური ბუფერებით გაშენებენ. რუსეთშიც არანაკლები სოციალური დაბალია. არსებობს ეკონომისტთა ჯგუფი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სამხედრო ზონის გარეშეც შეგვიძლია არსებობა. მთავარია, სანამ არ გაირკვევა მდგომარეობა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, არავითარი ლაპარაკი არ უნდა იყოს რუსეთთან.

რევაზ სალია — (სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტია)

უნდა ვეცადოთ, ხელისუფლება წავიყვანოთ ჩვენთვის სასურველი გზით. უნდა გაკეთდეს განცხადება, თუ რა ხდება. საქართველო აუცილებლად უნდა გამოვიდეს რუსეთის მორჩილებიდან. მაგრამ იმაზე ფიქრი გვმართებს, თუ რა გზით გამოვიდეთ. მოსაწონია ის აზრი, რომ შეიქმნას პარტიების საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც იმუშავებს ხელისუფლებასთან და ხალხთან დამოკიდებულებაზე. პრესა გამოიყენოთ იმისთვის, რომ გავაცნოთ ხალხს, თუ რა არ მოგვწონს ხელისუფლებისა, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას. ჩვენ პაროვნებას კი არა, ხელისუფლების კურსს უნდა დავუპირისპირდეთ.

არჩილ ოსელიანი — (სოციალური სამართლიანობის კავშირი), ხელისუფლების წარმომადგენელი ვარ და ცოტა არ იყოს, უხერხულია, რომ აქ და არა იქ ლაპარაკობ ამ თემაზე. იკეთება ტენდენცია, რომ ის საკონსტიტუციო ორგანო (პარლამენტი), სადაც ნაჩარევად ვიღებთ კანონებს და რომელსაც გაჩნია შემოწმების ფუნქციაც, თავის ძირითად მოვალეობას მთელი სისრულით ვერ ასრულებს.

გასული წლის დეკემბრის ბოლოს მოვთხოვე მთავრობას წარედგინა პარლამენტისთვის მიმდინარე წლის სამოქმედო პროგრამა. აღმოჩნდა, რომ სამოქმედო პროგრამა ამერიკის შეერთებულ შტატებში გაეგზავნათ ექსპერტიზისთვის და პარლამენტარებს კი არ გაეცნო. ადრე, როცა ერთ-ერთ სხდომაზე შავი ხვლის ფლოტის ჩვენთვის კუთვნილი ნაწილის გადოცემაზე დავსვი საკითხი, დარბაზიდან დამითხოვეს. დღეს კი კამკამიძე აცხადებს, რომ ყველაფერი უკვე განწყობილია და ჩვენ არაფერი გვეკუთვნის. ყველა რესპუბლიკამ მიიღო რუსეთიდან თავისი წილი შეიარაღებისა, ჩვენ კი არაფერი მიგვიღია. გასული წლის 25 დეკემბერს რუსეთის უმაღლესმა საბჭომ დააყენა საკითხი, რომ სანამ აფხაზეთში ომი არ დამთავრდება, საქართველოსთან არანაირ მოლაპარაკებაზე არ შეიძლება იყოს საუბარიო. რუსეთს ჩვენთან თავისი მიზნები აქვს. თავის დროზე გამსახურდიას შეცდომად უთვლიდნენ იმას, რომ სამაჩაბლოში რუსეთის შინაგანი ჯარი შეიყვანა. ელურად შევარდნაძესაც იგივე მოუვიდა. მან აღიარა კიდეც ეს. ვიღაცას უნდა პარლამენტი ბუტაფორიად იქცეს და თითქმის მიაღწიეს კიდეც ამას. თენგიზ კიტოვანს რატომღაც არ მოსწონს ეს პარლამენტი. არაფერს გვკიცხავ. ბდა ამ პარლამენტის ლასაჭურისება. საქართველოს ჰყავს ლეგიტიმური ხელისუფლება ამ პარლამენტის სახით, რომლის იგნორირება არ შეიძლება. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ პარლამენტი არ დარჩეს უუფლებოდ. ეს ყველას საქმეა, ვინც დაინტერესებულია საქართველოს ბედით, ვინც პარლამენტშია და ვინც მის გარეთ არის. ყველამ თავის საქმე უნდა აკეთოს.

ღელეობ მეორდება იგივე. ხდება თენგიზ კიტოვანის და გვარდიის იგნორირება. ამან რა გაუთვალისწინებელი შედეგები შეიძლება მოიტანოს, ნათელია. ეიღც-ეიღცეებმა, მამებლებმა, რამდენჯერმე დასვეს საკითხი სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, რაც ფაქტიურად პარლამენტის დაკონსერვაციას ნიშნავს. რაც შეეხება ვადიანელ არჩევნებს, მე მხარს ვუჭერ, მაგრამ მანამდე უნდა გავუფრთხილდეთ პარლამენტს და ამას თუ რეგორ გავაკეთებთ, დამოკიდებულია იმ პარტიებზე, რომლებიც პარლამენტში არიან წარმოდგენილი. უნდა შეექმნათ ერთიანი საკოორდინაციო ორგანო.

საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლის შესახებ პარლამენტარებმა ყურადღებით თუ იციან, მთავრობამ და სახელმწიფოს მეთაურის აპარატმა, რა თქმა უნდა, სრულდ. ეს მაგონებს თავის დროზე ზვიად გამსახურდიას მიერ თათრეთთან დადებულ ხელშეკრულებას. ვიდრე საქართველოს ანექსია გრძელდება რუსეთის ჯარის აქ ყოფნით, ხელშეკრულებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ისე კი, მეზობელ ქვეყნებთან ხელშეკრულება, ბუნებრივია, უნდა დადოს.

აკაკი ასათიანი — (ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი) მე პირველი ვიქნები წინაღმდეგი იმისა, რომ რაღაც ფორმით მოხდეს ხელისუფლების დამხობა, რაც ქვეყნის მთლიან ორგანიზმს დაარღვევს. ეროვნული მოძრაობა არ შეიძლება დამთავრდეს, სანამ ჩვენი სამშობლო ბოლომდე არ განთავისუფლდება. დღეს აფხაზეთი გაყოფილია, ორი მთავრობა აფხაზეთში, გუმისთასთან საზღვარია და საერთოდ, ამ პრობლემებზე მსჯელობა და კონსულტაციები უნდა გავაგრძელოთ.

შეკრების მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი წინადადებას იმის თაობაზე, რომ აქ წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების სახელით მიღებულ იქნეს შესაბამისი განცხადება და იგი გამოქვეყნდეს პრესით და ტელევიზიით. აგრეთვე დათქვეს, რომ ასეთი შეკრებები მიიღებს სისტემატურ ხასიათს.

სერგო ჯანაშია

თენგიზ კიტოვანი:

მე თუნდაც უბრალო ჯარისკაცად ვიბრძოლებ...

— ჩვენ უმძიმეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებში გვიხდება ცხოვრება. ფაქტია, რომ ახლა კიდევ ერთი დაუფიქრებელი, უკან გადადგმული ნაბიჯი ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის შესაძლოა კატასტროფული აღმოჩნდეს. ამიტომაც ყველა მწვავედ რეაგირებს იმ ხმებზე, რომლებიც ახალი დესტაბილიზაციის საშიროებას ეხება. ჩვენ ეს საშიშროება რეალურად არ გვესახება. ამ კონტექსტიდან გთხოვთ, გვითხრათ, როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს შეიარაღებული ძალების მომავალი და მათში ქაოსის დაძლევის პერსპექტივა?

— დავიწყებ იმით, რომ ჩვენს შეიარაღებულ ძალებს ბევრი არაკეთილმოსურნე გაუჩნდა და შეგნებულად თუ შეუგნებლად ეწინააღმდეგებიან მის ჩამოყალიბებას. დღეს თითქმის ყველა პოლიტიკურ პარტიას თავისი შეიარაღებული [illegible]უფები ჰყავს და ერთიანი ჯარ[illegible]ნებლობის პროცესს პი[illegible]გში ისინი აფერხებენ. [illegible]და, საბაჟო დეპარტა[illegible]ისი შეიარაღებული ძა[illegible]ქმნა უნდა, რომელსაც [illegible]ალხით დააკომპლექტებენ. [illegible]ქმნა კიდევ მაშველთა კორპუსი, რომელიც ფორმალურად თითქოსდა თავდაცვის სამინისტროს დაექვემდებარება, მაგრამ მე ვფიქრობ ეს მაინც ფიქციაა.

პარტიების, რომლებსაც შეიარაღებული ხალხი ჰყავთ, იარაღის დაკანონებას იმით ცდილობენ, რომ მათ სხვადასხვა ფირმებსა თუ ორგანიზაციების დაცვაში აფორმებენ. ამ ფორმით ისინი გავლენის სფეროებს იტოვებენ, იარაღს კი აკანონებენ. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ არ გაძლიერდეს შეიარაღებული ძალები და ამ საშუალებით უკანონობა, ქაოსი დამკვიდრდეს. წარმოიდგინეთ, რამდენი გამგებელია საქართველოში. უმრავლესობას საკუთარი შეიარაღებული ჯგუფი ჰყავს.

დღეს ისევ გაჩნდა შიშის სინდრომი, რაც გამსახურდიას ჰქონდა. დაიწყეს პოლიციის რიგების გაფართოება. მე ამის წინააღმდეგ გამოვედი, რადგან ეს პოლიციის რეჟიმზე გადასვლას ნიშნავს. [illegible]შიროებას თავისი შეიარაღებული ფორმირების შექმნა უნდა. ეს პროცესი დამღუპველია.

ამის საწინააღმდეგოდ კი რა ხდება? მხოლოდ კანონი იწერება, რომ იარაღი ჩააბარონ, რომ ერთიანი ჯარი შეიქმნას და ასე შემდეგ. კანონი კი არ სრულდება.

— რა მდგომარეობაა თვით შეიარაღებულ ძალებში, ფლობთ თუ არა ამ მხრივ სიტუაციას? რატომ არ უჩანს ბოლო სამხედროების მიერ ჩადენილ დანაშაულობებს?

— ჩვენ დამნაშავეებს ვაპატიმრებთ, მოროდიორებს ვსჯით. თავად პროცესი კი ყაჩაღობისა თუ დამნაშავეობისა ისტორიულად გვერდაუვლელი მომენტია. ჩვენ არმიის შექმნა გვინდა. ისეთ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის კი, როგორშიაც საქართველოა, ჯარი რთული შესაქმნელია. თითქმის ყაზარმული სისტემის გარეშე, მოუმზადებელი ბიჭები მიდიან ომში, წვრთნას ომშივე იღებენ, რის შედეგად მსხვერპლიც დიდია. არმიის შექმნას დიდი დრო დასჭირდება. პარლამენტში კი ისე ლაპარაკობენ, თითქოს ჩვენ ჯადოსნური ჯოხის დაქნევით გაწვრთნილი და ორგანიზებული არმიის



ჩამოყალიბება შეგვეძლოს.

არაფრისმქონე ქვეყანამ შევქმენით ავიაცია, საკმაოდ კარგი ავიაცია. შეიქმნა მოტორიზებული ჯავშანტრანსპორტიორების ბრიგადა, არტილერია. შევქმენით მედესანტეთა ბრიგადა, დაზვერვა და კონტრდაზვერვა. კრიტიკასაც მივიღებთ, მაგრამ ვინ იბრძვის აბა აფხაზეთში? ჩვენი თვითმფრინავები და ვერტმფრენები დაფრინდნენ, ჩვენი ტანკები დადიან და არც პარლამენტში, არც ხალხში არ აფიქსირებენ იმას, რომ ყველაფერი ბრძოლებში იქმნება. რასაკვირველია, ბევრი ყაჩაღი შეძვრა ჩვენს ჯარში და უკან ავტომატით გამოძვრა. ამის უარყოფა არც კი გვიცდია, მაგრამ მეორე მხრივ, რომელი კრიტერიუმებით შეიძლება მებრძოლების შერჩევა.

იცით რა ხდება გამწვევ კომისიებში? იღებენ ქრთამებს, რომ ვიღაც-ვიღაცეები ჯარში არ მოხვდნენ. აქ დანაშაულობათა მთელი სისტემაა. კომისიის წევრები, ექიმები, ათი კაციდან რვას სახლში უშვებენ. ამ გაწვევაზე რვა ათასი კაცის ნაცვლად სამასოცი კაცი გავიწვიეთ და ისეთ დროს, როცა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალ გზებს უნდა ვეძებდეთ, პარლამენტშიც კი მთელ დროს ჯარის ლანძღვას ანდომებენ.

იცით, გაჩნდა მოთხოვნები, **რომ მოვიგოთ აფხაზეთის ომი.** თითქოს ჩვენ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობდეთ, რომელსაც ჰყავდა ჯარი, ჰქონდა საბრძოლო იარაღი, ტექნიკა.

რა მივიღეთ ჩვენ რუსებისგან? გვიტოვებენ განადგურებულ ყაზარმებს, უნიტაზებშიც კი ბეტონია ჩასხმული. მილიონები გვიჯდება მათი გარემონტება. უნდა მივიდეს იქ საპარლამენტო კომისია და დააფიქსიროს, რას ვიბარებთ. ასე განადგურებული შენობები ჩავიბარეთ გორში, ასე მოიქცა გამსახურდიას მომხრე ჩოლოყაშვილის პოლკი, რომელმაც ყოფილი ლესელიძის სასწავლებელი დაწვა და გაანადგურა. ასე იყო შავნაბადაზე, თითქოს უცხო ქვეყანას რჩებოდა ეს ყველაფერი.

— კონფლიქტი აფხაზეთში კარგა ხანია ომში გადაიზარდა და ამ ომმა გაჭიანურებული ხასიათი მიიღო. რა მიგაჩნიათ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, რამაც შეიძლება ომის ბედი გადაწყვიტოს?

— უნდა გადაწყდეს აფხაზეთიდან რუსეთის ჯარის გასვლის საკითხი და ჩვენ ამ ომს მოვიგებთ.

— რა შედეგებს ელით თქვენი მოსკოვური ვიზიტებისგან?

— სანამ არ მოხდება შევარდნაძისა და ელცინის შეხვედრა, არაფერი გადაწყდება. ამ ომის მოგება შეუძლებელია, სანამ ყველაფერი პოლიტიკურად არ მოწესრიგდება. რასაკვირველია, აფხაზეთთან დაკავშირებით ჩვენ გვქონდა გარკვეული პოლიტიკური მიღწევები. სამხედრო თვალსაზრისით, ჩვენმა ჯარებმა თითქმის მთლიანად დაიკავეს აფხაზეთი. ჩვენ მალე ტრასების გაწმენდას დავიწყებდით, მაგრამ ჯამში, ჩვენი მარცხი ჯარების უკონტროლობა კი არა, რუსეთის საბოლოო პოლიტიკის გაუთვალისწინებლობამ გამოიწვია.

აქვე მინდა გითხრათ ისიც, რომ ჩვენ ვნახეთ ის ხალხი, რომლებიც აფხაზებს ჰყავდათ დაქირავებული. ისინი მზად არიან ჩვენს მხარეზე გადმოსასვლელად. ისინი მკვლელები არიან და იგივე სისასტიკით გაუსწორდებიან აფხაზებს, თუკი გასამრჯელოს გადავუხდით.

— გავრცელებულია აზრი თქვენი და რუსეთის თავდაცვის მინისტრის ურთიერთ კეთილგანწყობის შესახებ. ეს თქვენი პიროვნული მეგობრობაა თუ ამგვარი ურთიერთობების საფარველში რაიმე პოლიტიკური მიზნებია დაფარული და ვის სასიკეთოდაა ეს მეგობრობა?

— ჩვენ დიდი ხნის ნაცნობები არა ვართ, მაგრამ კეითლგანწყობილი ურთიერთობა გვაქვს. ყველაფერი კი ჩვენს საქმეს ხმარდება — ქართული ჯარის საქმეს.

— გაგრის ტრაგედიის შემდეგ ირაკლი ბათიაშვილმა განაცხადა, რომ ინფორმაცია ამ ოპერაციის შესახებ არსებობდა. მიუხედავად ამისა, გაგრა დავკარგეთ. პირდაპირ და კონკრეტულად გვითხარით, რატომ დავმარცხდით გაგრა-ლესელიძეში? და კიდევ, როგორ მუშაობს დღეს დაზვერვა, შესაძლებელია თუ არა ასეთი მარცხის განმეორება?

— გაგრის ტრაგედია მოსალოდნელი იყო და რაც იქ ჩვენის მხრივ გაკეთდა, შესაძლებლობების მაქსიმუმი იყო. ჩვენ პროფესიონალური ჯარი გვებრძოდა. ჯარი, რომელსაც წინ ბევრი ქვეყანა ვერ დაუდგება. კონფედერაციის, აფხაზთა და სომეხთა დაჯგუფებები მათ მხოლოდ უკან მოყვებოდნენ. უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთ შემოტევას ჩვენ წინ ვერ დავუდგებით. ჯერ ერთი, რუსები მთლიანად დაჯავშნულები იყვნენ და მათი მებრძოლები მხოლოდ მსუბუქად თუ იყვნენ დაჭრილი. და მეორეც, მათი სამხედრო მომზადება ისე მაღალი იყო, ტყვიის მორტყმა ჭირდა. მე მაშინ ველაპარაკე გია ყარყარაშვილს, რომელმაც კარგად იცის ყველაფერი და დაადასტურებს, რომ რუსის ჯარი გვებრძოდა. ნაღმმტყორცნელების ჩვენს ტანკებს პირდაპირ ლულებში ახვედრებდნენ.

— ამბობენ, რომ კონტაქტები გაქვთ სამეგრელოში არსებულ შეიარაღებულ ჯგუფებთან. თუ არის იმედი იმისა, რომ ეს ჯგუფები შეიარაღებულ დაპირისპირებას შეწყვეტენ?

— არ შეწყვეტენ, რადგან მათ თავიანთი აზრი აქვთ ჩვენი მთავრობის შესახებ. როცა სამეგრელოს ამბები დაიწყო, მე და ბატონი ჯაბა ღამით ფოთში შევედით. მერე გია ყარყარაშვილი შევიდა ზუგდიდში. ჩვენ დიდ წინააღმდეგობას წავაწყდით, მაგრამ მიუხედავად ამისა, თითქოს ყველაფერი მოვაგვარეთ. უკვე უნდა გაწმენდილიყო გზები და დაიწყო აფხაზთიც. მათ ისევ მოიკრიბეს ძალა. ყველაფერი ალბათ პოლიტიკურად უნდა გადაწყვეტილიყო. **სამეგრელოში ჩვენი შეიარაღებული ძალები არ უნდა ჩასულიყვნენ.** ჩვენ ხალხი გავალიზიანეთ.

— გორის ცნობილ ინციდენტში რუს სამხედრო მოსამსახურეებთან შეჯახებისას დაიღუპა ბესიკ ქუთათელაძე. მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა, მაგრამ ეს ფაქტი მაინც ბურუსითაა მოცული. რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ ტრაგედიის შესახებ?

— მე წინა დღით ვნახე ბესიკ ქუთათელაძე და ველაპარაკე. მას რუსებთან ჰქონდა მოლაპარაკება იარაღის ყიდვის შესახებ. მეორე დღეს იარაღის გამოსატანად მიდიოდნენ, შეეჩეხნენ იმ ჯგუფს, ვისაც შესასყიდი ფულიდან წილი არ ერგო. სროლა სწორედ მათ შორის, ატყდა, მაგრამ რაკი თოფი გავარდა, ყველაფერი აირია. სხვათა შორის. იქ ლამის მეც მომკლეს. საათნახევარში გორში ჩავედი და მეც მესროლეს, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი შევაჩერეთ. არადა, იმის გარდა, რაც იქ დატრიალდა, შესაძლებელი იყო ჩვენი კიდევ ოცი ბიჭი დაეხვრიტათ.

— დადის ხმები, თითქოს თავდაცვის ფონდიდან ხელისუფლების წარმომადგენელთა მომსახურებისათვის შეისყიდეს გაზ-31 მარკის ავტომანქანები. იმედია, ეს ხმები სიმართლეს არ შეიცავს.

— მე ფინანსებთან არასოდეს მქონია საქმე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს ნამდვილი ჭორია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განა სახელმწიფოს იმდენი ფული აღარ აქვს, რომ მანქანები თავდაცვის ფონდიდან შეიძინოს?

ეს ისეთივე ჭორია, სულ ცოტა ხნის წინათ რომ გაავრცელეს, თითქოს ჩვენ სამხედრო გადატრიალებას ვამზადებდით.

ესაა ორგანიზებული მუშაობა თავდაცვის სამინისტროს დისკრედიტაციისთვის. ესაა ბრძოლა ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ, რადგან მეც ერთ-ერთი წარმომადგენელი ვარ იმ ძალზე მცირერიცხოვანი ადამიანებისა, ვინც ამ მოძრაობიდან დღევანდელ ხელისუფლებას შემორჩა. თუმცა ასეთი წინააღმდეგობა ისტორიული გარდუვალობაა. ასე მოხდა „სოციალისტური ბანაკის“ ყველა ქვეყანაში.

ყველაფრის მიუხედავად ჩვენს მთავარ ამოცანად ქართული ჯარის შექმნა რჩება. რამდენი წელი დასჭირდა ისრაელს არმია რომ შეექმნა? 15—20 წელი. მე ზემოთ ჩამოგითვალეთ, რაც გავაკეთეთ. ვფიქრობ, ეს ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმია, თუ გავითვალისწინებთ, რომ სულ ორიოდე წელია, რაც სახელმწიფო შევქმენით. ვის არ უნდა ძლიერი არმია? ჩვენც გვინდა. პირადად მე შეიძლება ვიცეპრემიერობაზე უარის თქმაც მომიწიოს, მაგრამ ამ საქმეს არასოდეს მივატოვებ. მე ბოლომდე ვიბრძოლებ საქართველოს ღირსეული ჯარის შესაქმნელად. მე თუნდაც უბრალო ჯარისკაცად ვიბრძოლებ.

ესაუბრა
ვახტანგ კომახიძე

პოეტის ერთი პუბლიცისტური ლექსი

ანზორ აბულაშვილი:

არადიპლომატიური მიმართვა აფსუა სე-პ(ა)ი-რატი-სტებს

მართლაც გაგვიზლუისპირელდი,
თუმც ძველებურ ისევ ქსუობ
და აფხაზად მონათლული,
დროს უცდიდი სააფსუოდ.
ურუსს სთხოვე — მომეციო
თოფიც, ზარბაზანიც
სუ მე.
მან რომ აჯა აგისრულა,
მოდექი და იაფსუე.
მანამდე კი გაქეზა და
თან გაფრთხილა:
—ჩუმად, სუო,
მე რომ ჩემი წილი დამრჩეს,
ისე უნდა იაფსუო...
ეჰ, აფსუა, ეჰ, აფსუა,
აკი ქვეყანაზე სუა,
მაგრამ შენმა არძინბობამ
სულ სხვანაირ იაფსუა...
მიტომ შეგთხოვ და გაფიცებ
შენი წინაპრების სულებს,
მთებს გადაღმა მიბრძანდი და რამდენიც
გსურს — იაფსუე.
შენს ამორეს პონტოს ზღვასთან
მზღვარი დიდი უდევს შუა...
აფსუობას დავაეწყებთ,
ვინც ამ ზღვისპირს იაფსუა.

მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს...

აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიულ ერთიანობას შეეწირა საქართველოს რკინიგზის შეიარაღებული დაცვის მსროლელის, თეთრი არწივის წევრის, იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტის, მოხალისე, 24 წლის

გია ნიკოლოზის ძე შიხიაშვილის

სიცოცხლე. გია შიხიაშვილისთანა მამაცი შვილების ხანმოკლე სიცოცხლე მამულის დიდებისათვის შეწირული სანთლებია.

მუდამ რაღაცისკენ ისწრაფვოდი, შენი დაუდგრომელი სული ვერ ურიგდებოდა ყოველდღიურ, მოსაწყენ ცხოვრებას და „ზენაართ სამყოფისკენ“ მიილტვოდა... რაღაც არ გყოფნიდა და სულ გინდოდა გეკეთებინა ისეთი რამ, რითაც ადამიანებს უსაზღვრო სიხარულს მიანიჭებდი. საოცრად ლამაზად ახერხებდი იმას, რაც სხვებს თითქმის შეუძლებლად მიაჩნდათ. ვარდობის თვეში დაბადებულს ყველგან სითბო და სიყვარული მიგჭონდა. გჭონდა უნარი, დაგემალა საკუთარი სევდა, ტკივილი და სხვათათვის მუდამ ღიმილიანი ყოფილიყავი.

შენ არ გინდოდა გეცხოვრა შენს სამშობლოზე უკეთესად. დიდი ფიქრი და განსჯა არ დაგიწყია, ისე გაეშურე იქ, სადაც ჩვენი „ღიმილის ბიჭები“ იდგნენ. და მათ გვერდით დაიმკვიდრე ადგილი ამაყმა, ლაღმა...

შენ სხვანაირად არ შეგეძლო. ვერ იქნებოდი მშვიდად, როცა შენი თანატოლები სიკვდილს პირდაპირ უმზერდნენ თვალებში.

როგორ გელოდი აქ, გია.. თოთხმეტ იანვარს ერთად ვისხედით მეგობრები და გვჯეროდა, აუცილებლად ჩამოხვიდოდი. შენ ხომ სიტყვის გატეხვა არ გჩვეოდა. ავისმომასწავებლად გაისმა ტელეფონის მკვეთრი ზარი და.. უცბად გავიცნობიერეთ იქ მყოფებმა, რომ შენ იქ ველარასოდეს წახვიდოდი.

შენ ისეთი გამორჩეული ცხოვრებით ცხოვრობდი, რომ მხოლოდ ასე უნდა შეგეღო იმქვეყნიური, მარადიული სიცოცხლის კარი...

არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ჩვენს გვერდით აღარ ხარ, მაგრამ სად გაექცევი ცხოვრების მკაცრ რეალობას.

შენ მუდამ სიმაღლეებისკენ ისწრაფვოდი, რა ადრე დაინახე ცისფერი შუქი მარადისობის...

პირნათელი წახვედი ჩვენგან, გია! მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის საქართველოს მიწა.

მეგობრები

პოლემიკა

მთაწმინდაზე, მხოლოდ მთაწმინდაზე!

პროფესორმა ლევან სანიკიძემ მკითხველის სამსჯავროზე გაომიტანა სტალინის ნეშტის მოსკოვიდან გორში გადმოსვენების იდეა. (იხ. მისი „მთელ ქვეყანას უყვარხარ...“, „საქართველოს რესპუბლიკა“, 13 ივნისი, 1992). როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ამ იდეას ქართველი საზოგადოება არსებითად გულგრილად შეხვდა. მაგრამ ბ-ნი ლევან სანიკიძე ამით ვერ დაკმაყოფილდა და ამ თემას კვლავ დაუბრუნდა ინტერვიუში — „გადმოვასვენოთ, დავასვენოთ და ... მოვისვენოთ!“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 19 დეკემბერი, 1992).

ინტერვიუში ლ. სანიკიძე აღნიშნავს, რომ მე არც „სტალინელი“ ვარ და არც „ანტისტალინელი“,მხოლოდ ისტორიკოსი ვარ, რომელსაც მოეთხოვება მოვლენების შეფასება „გაანჩხლებისა და მიკერძოების გარეშე“.

ამ „გაანჩხლებისა“ და „მიკერძოების გარეშე“ ლ. სანიკიძე სტალინის გენიალობას ხედავს იმაში, რომ მან პირველმა შექმნა ასეთი, „თანასწორი“, მასაშასადამე, არაბუნებრივი, ერთსახოვნად „გამასებული“ საზოგადოებრივი ქიმერა“, ე.ი. შექმნა „ანტი-ბუნება“. ეს აქტი „თავისთავად ხომ გრანდიოზულია, განუზომლად გრანდიოზული!“ ასეთი ალოგიზმის შემქმნელი, — ლ. სანიკიძის აზრით, —ხომაა უკვე სიდიდე და თანაც „განუზომელი სიდიდე?“ მკითხველს ლ. სანიკიძის აზრთა მართლაცდა ალოგიზმში გაუპირდება რაიმე ლოგიკის დანახვა და თანაც საკითხავია თუ რატომაა ამგვარი „სიდიდე“ მაინც და მაინც დადებითი მოვლენა და დაფასების ღირსი, ამაზე ლ. სანიკიძე არსებითს ვერაფერს ამბობს გამომდინარე აქედან, იქნებ ჰეროსტრატეს კომპლექსიც დადებითი მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში? „... სტალინი ქართული ისტორიის ღვიძლი ნაწილია, გინდა „მასალა“, გინდა „პროდუქტი“. — რაც გინდა ის დაარქვი, მაგრამ მაინც ქართველია მეთქი, აღნიშნავს ლ. სანიკიძე. ყოველგვარი „მეთქის“ გარეშე, ლევანა ჯანგავაძის თქმისა არ იყოს (გავიხსენოთ რას ეუბნება პასიკიეს ლევანა „სოფლის აზიკში“: — ასე თუ გავყევით, რუსის ხელმწიფეც ჩემი ძმობილი იქნება: ერთის ხნისა ვართ“) ასე რომ გავყევეთ არათუ სტალინი, არამედ მურვან-ყრუც, თემურლენგიც, შაჰ-აბასიც და მრავალი სხვა საქართველოს ისტორიასთან არიან დაკავშირებულნი, მაგრამ რანაირად და რა ასპექტით, ეს უკვე სხვა საქმეა!

მოკლედ ბ-ნი ლევან სანიკიძის მთავარი აზრი ისაა, რომ სტალინის, როგორც გენიოსის, „განუსაზღვრელი სიდიდის“ და რაც მთავარია, როგორც ქართველის გადმოსვენება საქართველოში ჩვენი ვალია, რითაც საბოლოოდ მოვისვენებთ კიდეც.

მოდით ახლა ნუ შევუდგებით იმის განსჯას, თუ ვისი სახელით ლაპარაკობს აქ ბ-ნი ლევან სანიკიძე და მართლა გვცალია თუ არა ახლა ამისათვის. აქ თუკი ყოველგვარი „გაანჩხლებისა და მიკერძოების“ გარეშე ობიექტურად მივუდგებით საქმეს და ქართველობის ნიშნით დავაყენებთ სტალინის გადმოსვენების საკითხს, მაშინ სხვა ქართველებმა რა დაიშავეს. მაგალითად რა დაიშავა სერგო ორჯონიკიძემ, რომელიც იქ მოსკოვში, კრემლის კედელთან განისვენებს, სტალინთან ახლოს. მართალია, მის მიერ გაკეთებულ საქმეებზე ვერ ვიტყვით ვერც „გენიალურს“, ვერც „გრანდიოზულს“ და მისთანებს, სამაგიეროდ ის ხომ უფრო ნაღდი ქართველი იყო (სტალინისაგან განსხვავებით მისი ქართველობა არასოდეს არ დამდგარა ეჭვსქვეშ! და ამასთან არანაკლები „დამსახურება“ მიუძღვის მშობელი ერის წინაშე: თბილისში შემოუძღვა წითელი არმიის ნაწილებს, უშუალოდ მონაწილეობდა პატრიოტი ქართველების დევნასა და დასჯაში, დაახვრეტინა ვაჟა-ფშაველას შვილი და დიდად ნანობდა, რომ ცოცხალი არ იყო თვით ვაჟა-ფშაველა, რათა ისიც დაეხვრიტა, ეჭვმიტანილია ილიას მკვლელობაში და ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, დავუშვათ და შევთანხმდით სტალინის ნეშტის გადმოსვენებაზე, მაგრამ რა გარანტიაა იმისა, რომ სტალინის ბიუსტის ქვემოთ მართლაც აღმოჩნდება სტალინის ნეშტი?

დავუშვათ და აღმოჩნდა იქ სტალინის ნეშტი, მაშინ რა გარანტიაა იმისა, რომ კილომეტრებიან რიგებში მდგარი, რევოლუციის ბელადის ცხედრის მოსანახულებლად რუსეთის სხვა და სხვა მხარეებიდან მოსკოვს ჩამოსულნი, აგრეთვე ნინა ანდრეევები და მისთანანი ასე ოლად დაგვანებებენ სტალინის ნეშტს?

გვიფიქრია კი ამაზე, როცა ასეთ იდეას ვაყენებთ?

ეს ნახევრად ხუმრობით. ახლა ცოტა უფრო სერიოზულად.

ლ. სანიკიძის წამოყენებულ იდეას მკაცრი შეფასება მისცა მწერალმა რეზო ჭეიშვილმა. მან სხვასთან ერთად აღნიშნა ისიც, რომ დღეს, როცა ასე გამწვავებულია ურთიერთობა ჩრდილო კავკასიელ მეზობლებთან, რომლებიც სტალინმა 1944 წელს მასობრივად გაასახლა მშობლიური ადგილებიდან, ამგვარი ქმედებები მთთან ურთიერთობას უფრო გაამწვავებს. ვეთანხმებით ბ-ნ რეზო ჭეიშვილს, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი ეს არ უნდა იყოს. უფრო საშიში ის ტენდენციაა, რომ დღეს, როცა ასე გვჭირდება მსოფლიო დემოკრატიული საზოგადოების მხარდაჭერა,რის საშუალებითაც ფეხი უნდა შევდგათ ცივილიზებულ სამყაროში, ამ დროს ჩვენში გამოკრთის სტალინიზმის რეანიმაციის ტენდენცია, რაც მუდამ აღიქმება, როგორც დიქტატურისა და დესპოტიზმისაკენ მისწრაფება.რამდენიც არ უნდა თქვას ბატონმა ლევან სანიკიძემ, მე „სტალინისტი“ არა ვარ და „სტალინიზმი“ ოდიოზური და თანაც განუხორციელებელი ქიმერაა“, მის წერილებში გატარებული აზრები სწორედ რომ სტალინისტურია და სტალინიზმის აღორძინებას უწყობს ხელს.

ლ. სანიკიძის ნათქვამიდან ისე გამოდის, რომ სტალინი თუნდაც „ბოროტი გენია“,მაინც გენიაა და ამიტომაც მასზე უნდა ვიზრუნოთ. რაში გამჟღავნდა სტალინის განიალობა? უპირველესად იმაში, რომ მან განამტკიცა ბოროტების იმპერია, ხალხთა ახალი საპყრობილე! კომუნისტური იდეოლოგია,საზოგადოება და სისტემა, რომლის შექმნასა და განმტკიცებას მიუძღვნა სტალინმა თავისი შეგნებული ცხოვრება, ქიმერად აღმოჩნდა და დიდი ზიანი მოუტანა კაცობრიობას. კომუნისტური სისტემის სტალინური მოდელის სავალალო შედეგებს დღეს, სხვებთან ერთად იმკის საქართველოც. ასე რომ, ამ კუთხით შეუძლებელია სტალინი, მითუმეტეს, როგორც ქართველი კაცის სიმპათიებს იმსახურებდეს. ვერც სტალინის უშუალოდ საქართველოსთან დამოკიდებულობა უნდა იმსახურებდეს მისდამი ქართველი ხალხის სიყვარულს. საქმეს, რომელსაც ის ემსახურებოდა საქართველოსათვის ზიანის მეტი არ მოუტანია, რაც გამოიხატა ქართველი ხალხის შევიწროებით, დისკრიმინაციითა და დისკრედიტაციით, მისი საუკეთესო შვილების რეპრესიებით და ა.შ. ამის უამრავი და უტყუარი ფაქტები არსებობს, რაც კარგად მოეხსენება თვით ლ. სანიკიძეს.

თუკი ჩვენი ნახევრად ხუმრობითა და ცოტა სერიოზულობით ნათქვამი არაა საკმარისი იმისათვის, რომ თავი დავნებოთ ფიქრს ასეთ არასერიოზულ განსაზღვრაზე, მაშინ უკვე მთლად ხუმრობით მაქვს ალტერნატიული წინადადება: იმ შემთხვევაში, თუკი მართლა აღმოჩნდება სტალინის ნეშტი კრემლის კედელთან და თუკი მას მართლა დაგვანებებს კილომეტრებიან რიგში მდგომი, „გამასებული“ საზოგადოება, მაშინ გადმოვასვენოთ სტალინის ნეშტი, მაგრამ დავასვენოთ არა გორში, როგორც ამას ბ-ნი ლევან სანიკიძე გვთავაზობს, არამედ იქ, სადაც საქართველოს საუკეთესო შვილები განისვენებენ — მთ[illegible]ზე, მხოლოდ მთაწმინდაზე!

მიხეილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„...და თუ საქართველოს ბედი ნამდვილად გვაღელვებს, ნუ მოგვხიბლავს გულუბრყვილოთა და უმეცართა ტაში, ნუ მოგვხიბლავს იოლად მოპოვებულ წამიერი წარმატება. მთავარი ის კი არ არის, მოვიგოთ დღევანდელი შეტაკება, მთავარია მივაღწიოთ საბოლოო მიზანს!“

გურამ ფანჯიკიძე: არა გვაქვს შეცდომის უფლება!

— ბატონო გურამ! თქვენი უკანასკნელი პუბლიცისტური წერილი გასული წლის სექტემბერში გამოქვეყნდა. მას შემდგომ არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი მოვლენის მოწმენი გავხდით. ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა, ბევრი გულისმომკვლელი ფაქტის წინაშეც დავდექით. თქვენ კი რატომღაც დუმხართ. არც პუბლიცისტური წერილი დაგიწერიათ, არც ტელევიზიით გამოსულხართ, რას უნდა მივაწეროთ თქვენი დუმილი?

გურამ ფანჯიკიძე — ბატონო ფელიქს, ვერ დაგეთანხმებით. ბევრი რამის გამო არა მგონია, რომ მე ვდუმდე. საერთოდ კი, მინდა მოგახსენოთ, რომ პუბლიცისტური მოღვაწეობისას მაქვს ჩემი პრინციპები. არც მკითხველს, არც ტელემაყურებელს თავი არ უნდა მოაბეზრო. თანაც, ყოველი ახალი წერილი თვისობრივადაც ახალი უნდა იყოს. დღევანდელ გაუბედურებულ ცხოვრებაში გასაკრიტიკებელი ფაქტის პოვნა ადვილია, მისი გაკრიტიკება კიდევ უფრო ადვილი. მთავარია გზის ჩვენება. თანაც დღეს ძალზე გაიოლდა კრიტიკა. ჟურნალისტები დაადგნენ იაფფასიან გზას-დაუნდობელ, ლანძღვა-გინებაში გადასულ კრიტიკას. სამწუხაროდ, მარტო ტონზე და ჟურნალისტურ ეთიკაზე როდი ვამახვილებ ყურადღებას, ხშირად კრიტიკა დაუსაბუთებელია, უსაფუძვლო, უფრო მეტიც, პროვოკაციული და, თქვენ წარმოიდგინეთ, ცილისწამებასაც კი კადრულობენ, ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „თუ ადამიანს ჰკიცხავთ, მისი საბუთი, საქმე და ნამოქმედარი გვაუწყეთ. სხვაგვარი გაკიცხვა, ჩვენის ფიქრით, ლანძღვაა და ლანძღვას ჩვენს გაზეთში ადგილი არა აქვს.“ კარგი იქნება თუ ჩვენი გაზეთების რედაქტორები იხელმძღვანელებენ ამ პრინციპით.

— თქვენ თვითონ როცა წერთ კრიტიკულ წერილებს, ყოველთვის ხელმძღვანელობთ ილიას სიტყვებით?

გ.ფ. — ჩემი წერილები ბევრჯერ ყოფილა მკაცრი, მაგრამ არასდროს ადამიანისთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია, არ დამიცინია. უბრალო, ადამიანური ეთიკური ნორმები არასდროს დამირღვევია, როგორც ყვირილი ვერ მიანიჭებს სიტყვებს სიმართლეს, ისე ლანძღვა-გინება ვერ მოგიტანს გამარჯვებას. მთავარია ოპონენტს დაუსაბუთო, სად ცდება იგი, სად არაა მართალი, სად მიმართავს დემაგოგიას და ა.შ.

თანაც დღეს კრიტიკა ძალზე იოლია. კრიტიკისთვის არავის სჯიან. უფრო მეტიც, სამწუხაროდ და სავალალოდ, ცილისწამებისათვის, ლანძღვა-გინებისა და პროვოკაციისათვის არავინაა პასუხისმგებელი.

კრიტიკა მაშინ იყო დასაფასებელი, როცა სამართლიანი კრიტიკისათვის სამსახურიდან მოხსნა, დევნა და კიდევ უფრო მკაცრი სასჯელი გელოდა.

დღეს, ამ განუკითხაობის პერიოდში, თვით ყველაზე ულაჩრესი ჟურნალისტებიც რომ ყველაზე თავგამოდებული „მებრძოლები“ გახდნენ,მინდა ვუთხრა მათ, რომ დააგვიანეს, ძალიან დააგვიანეს.

დღევანდელი სიტუაციის გამო, როცა ლაჩარი „გაბედულებაში“ საგრძნობლად „სჯობნის“ ვაჟკაცს, ნიჭიერსა და ჭეშმარიტ პრინციპულ მწერალსა თუ ჟურნალისტს, მათ „გმირულ თავგანწირვას“ ფასი დაეკარგა.

დღეს საზოგადოებამ უნდა დააფასოს ის მწერალი თუ ჟურნალისტი, რომელიც კი არ ილანძღება, არამედ თავის მოსაზრებებს ასაბუთებს და, რაც მთავარია, გზას გვიჩვენებს.

— მე მახსოვს, თქვენი კრიტიკული წერილისათვის 1989 წელს კინოსახლის წინ თქვენი ფიტულიც კი დაწვეს. არც შემდგომში „დაგკლებიათ“ კრიტიკა, თქვენი წიგნების დახევა და დაწვა, საქართველოს მტრად გამოცხადება.

გ.ფ. — მართალი ბრძანდებით, მაგრამ მთავარი ის კი არ არის, საქართველოს მტრად რომ გამომაცხადეს, მთავარია, რატომ გამომაცხადეს. რა ვთქვი ან რა დავწერე ისეთი, სახალხო შეჩვენებასა და ფიტულის დაწვას რომ ვიმსახურებდი.

ჯერ კიდევ 1989 წლის ივლისში დაწერილმა წერილმა აღაშფოთა ზოგიერთები. ეს ზოგიერთები ვინც არიან, ყველამ კარგად ვიცით და არ მინდა მათი სახელებისა და გვარების ჩამოთვლა. შურისმაძიებელი და ანგარიშის გამსწორებელი არასდროს ვყოფილვარ.

მე ყოველთვის საქმეზე შემტკიოდა გული, და თუ დღესაც ამ ინტერვიუზე დაგთანხმდით, მხოლოდ იმიტომ, რომ დღესაც ბევრი რამ არ მომწონს და მინდა ზოგიერთ საკითხზე კვლავ გამოვთქვა ჩემი მოსაზრება.

თუმცა, სჯობია, თქვენს შეკითხვას დავუბრუნდეთ.

რამ გამოიწვია ჩემი ოპონენტების რისხვა 1989 წლის 26 ივლისს გამოქვეყნებულ წერილში? მოვიტან პატარა ნაწყვეტს. „თითქოს ცხრა აპრილმა გაგვაერთიანა და გაგვამთლიანა, მაგრამ, სამწუხაროდ, მოჩვენებითია ჩვენი კონსოლიდაცია!

მცდარია ჩვენი მოქმედება!

შექმნილია მრავალი დაჯგუფება, რომლებსაც არა და არ უნდათ ერთმანეთში საერთო ენა გამონახონ.

ახალგაზრდობა მოსწყდა უფროს თაობას, ე.ი. მოსწყდა გამოცდილებას, განათლებას, მოსწყდა იმ თვისებებს, რომლებმაც უნდა შეავსონ ახალგაზრდული შემართება, სიფიცხე და ენერგია.

რატომღაც უარყოფილია ცოდნა, განათლება, პროფესიონალიზმი, წარსულის დამსახურება და პიროვნების ავტორიტეტი.

რატომღაც დავივიწყეთ ერთმანეთის პატივისცემა, ყურადღებედ-იღბალზე სერიოზულად შეშფოთებულ და დაფიქრებულ მამულიშვილებს მიეტმასნენ ხელმოცარული ადამიანები, რომლებმაც იპოვეს უშრომელი დიდების იოლი გზა. ჩამორჩენილი, გარიცხული სტუდენტები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები, სხვადასხვა ფენის და დარგის წარმომადგენლები, თავისი ნიჭით რომ ვერაფერი შექმნეს, ახლა განსაკუთრებით აქტიურობენ, სუპერრადიკალური ლოზუნგებით ცდილობენ ყურადღების მიქცევას, სახელის მოპოვებას. არად დაგიდევენ, რა მოჰყვება მათ ლოზუნგებს, სულაც არ ანაღვლებთ, რა მოჰყვება მათ საქციელს.

ჯერ არ დაუკარგავს ელვარება სერვანტესის ბრძნულ სიტყვებს, დაუფიქრებლად ლაპარაკი იგივეა, რაც დაუმიზნებლად სროლაო.

ამ მოწოდების სახით ჩვენს მოწინააღმდეგეებს ხელში მივეცით უძლიერესი კოზირები, რომლებსაც საკმაო ოსტატობით და წარმატებითაც იყენებენ ჩვენსავე წინააღმდეგ. ამ კოზირებით ისინი არცთუ წარუმატებლად ნიღბავენ საკუთარ ჩანაფიქრს, უცოდველ კრავად აჩვენებენ ქვეყანას თავს. ჩვენ კი ნაციონალისტებად, უფრო მეტიც, დამპყრობლებად და შოვინისტებად გვაცხადებენ.

მოქმედების დროს რატომრმატება. მთავარი ის კი არ არის, მოვიგოთ დღევანდელი შეტაკება, მთავარია მივაღწიოთ საბოლოო მიზანს!“

ბატონო ფელიქს, იქნებ თქვენ ამიხსნათ, რა იყო ამ მოსაზრებებში ისეთი გაზეთ „კომუნისტში“, „საქართველოში“, მიტინგებზე და რა ვიცი, კიდევ სად, საქართველოს მტრად რომ გამომაცხადეს?!

— ჩემის მხრივ მინდა დავძინო, რომ მაშინ, საყოველთაო აღტკინებაში, მართლაც სახიფათო იყო მსგავსი მოსაზრებების გამოქვეყნება.

გ.ფ. — მე შემდგომშიც არაერთხელ გამოვთქვი ჩემი მოსაზრებანი, კვლავ რისხვა, ლანძღვა-გინება პრესაში, მიტინგებზე, ტელეფონით...

ბოდიშს კი მოვიხდი, მაგრამ ზოგიერთი რამ მინდა გავიხსენო. რას ვწერდი მაშინ.

— იგივე 1989 წელს?

გ.ფ. — დიახ, 1989 წელს. „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოვაქვეყნე წერილი, „როცა ვნებები დუღს, ჭეშმარიტება ორთქლდება“. ერთ ადგილზე იქ ვწერდი (ციტატები მომაქვს შემოკლებით):

შეუძლია თუ არა საქართველოს იარსებოს დამოუკიდებლად?

რასაკვირველია, შეუძლია!

ბევრ მტკიცებას არ შევუდგები, მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიტან.

ფინეთი მოსახლეობის რაოდენობით საქართველოს ჩამორჩება კიდეც (4.800 000). ბუნებრივი სიმდიდრეები ხომ აღარ არის საკითხავი, საქართველო ასჯერ, თუ მეტჯერ არა, მდიდარია ფინეთზე ღვთის მიერ ნაწყალობევი სიმდიდრით.

და, თუკი ფინეთს შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა, საქართველოს რაღა ღმერთი გაუწყრება?!

დიახ, შეუძლია, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისეთი პატარა ქვეყანა,როგორიც ფინეთია, საბჭოთა კავშირს უშენებს უცხოეთში შეკვეთილი გემებისა და ტანკერების 75 პროცენტს! თვით საბჭოთა კავშირში აგებს უზარმაზარ შენობებს, ფაბრიკა-ქარხნებს. შემოაქვს ბრწყინვალე სამშენებლო მასალა, პირველხარისხოვანი ავეჯი, ალუმინის კარკასები, მაღალი კლასის ტელევიზორები, სპორტული ინვენტარი და ტანსაცმელი. თქვენ წარმოიდგინეთ, კვების პროდუქტებიც კი, აღარაფერს ვამბობ უმაღლესი ხარისხის ქაღალდზე, პოლიგრაფიულ შეკვეთებზე. თანაც ძალზე საგულისხმო ისაა,რომ ფინეთს საბჭოთა კავშირში შემოაქვს თავისი ექსპორტის მხოლოდ 18 პროცენტი. დანარჩენი გააქვს სხვა ქვეყნებში.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ ახდეს ქართველი კაცის ოცნება?

ძალიან ბევრი რამ!

უპირველეს ყოვლისა, ბ საჭიროა მრავალი პრობლემა, დასამუშავებელია ბევრი კონცეფცია. ზემოთ ამიტომაც ვთქვი, ჩვენი ეროვნული მოძრაობა ახალ და უფრო მაღალ საფეხურზე უნდა ავიდეს-მეთქი. შემდეგ კი უფრო და უფრო მაღლა. თანაც, კიდევ ვიმეორებ, ყოველი ახალი საფეხური უნდა იყოს თვისობრივად ახალი, უფრო კვალიფიციური და კონსტრუქციული.

პრობლემები, ქართველი ერის წინაშე რომ დგას, გაცილებით რთულია და ძნელად გადასაჭრელი, ვიდრე ბალტიისპირეთის რესპუბლიკების პრობლემები. პირველ რიგში, სწორედ ეს პრობლემები უნდა გადაჭრან ჩვენმა პოლიტიკოსებმა, მეცნიერებმა, ეკონომისტებმა, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა თავისი დარგების მიხედვით. კონცეფციების, ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავების დროს ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ, თვით, ერთი შეხედვით, უწვრილმანესი და უმნიშვნელო დეტალებიც კი. სხვანაირად არაფერი გამოგვივა.

მე განვიხილავ მხოლოდ რამდენიმე ძირითად პრობლემას, რომელთა გადასაჭრელად,პირველ რიგში, გვმართებს საფუძვლიანი ფიქრი, განსჯა და სწორი გადაწყვეტილების მიღება.

1. უპირველეს ყოვლისა, უნდა განვსაზღვროთ შინაური სიტუაცია. უნდა გავითვალისწინოთ ყველა მოსალოდნელი თუ მოულოდნელი გაუგებრობა. კერძოდ, როგორ შეხვდებიან საქართველოში მცხოვრები სხვა ერის წარმომადგენლები საქართველოს სუვერენიტეტს?

არეულობაა მარნეულში, საერთოდ ქვემო ქართლში.

რუსთავმა თავის დროზე ბუფერული როლი შეასრულა თბილისსა და აზერბაიჯანულ მოსახლეობას შორის. ამჯერად სურათი ასეთია: აზერბაიჯანელებმა თანდათან შემოუარეს რუსთავს, ჯერ საფუძვლიანად მიებჯინენ თბილისს, შემდეგ კი თბილისსაც ნელ-ნელა შემოერ-

ტყნენ ირგვლივ. თან იმდენად გათავხედდნენ, რომ ავტონომია მოითხოვეს. „ავტონომიის“ დედაქალაქიც მშვენიერი შეურჩიეს — რუსთავი!

აზერბაიჯანელები, ლეკები და, სამწუხაროდ, აფხაზებიც, ისლამურ კუთხეებზე იყურებიან. ჩვენ?

ჩვენ რისასი იმედი გვაქვს, ან უნდა გვქონდეს?

მხოლოდ საკუთარი თავისა, არავინ არ გვყავს დამხმარე და ...არველი არც ჩვენში, არც საზღვარგარეთ.

ეს კარგად უნდა დავიმახსოვროთ და ამიტომაც უნდა ჩავიბეჭდოთ გონებაში, რომ არა გვაქვს შეცდომის უფლება!

სამწუხაროდ, ჩვენმა ძმებმა ...ხებმაც ვერ დააფასეს ჩვენი ...მობა და მეგობრობა, ყოვლად ...წრეგადასული და აღვირახსნილი ...ამპანია წამოიწყეს ჩვენს წინააღმდეგ. აბა, გაიხსენეთ, ყრილობაზე, 9 აპრილის კომისიის მოხსენების განხილვის წინ, როგორ მოგვიწოდოდა წიხლის ჩარტყმა ჩვენმა ყოფილმა „მეგობარმა“ ნაფი ჯუსოითმა.

აფხაზებზე რაღა ვთქვათ. 1989 წლის 15 ივლისს მათ ხომ ...მკარად გადმოანთხიეს ქართველი ხალხისადმი ზიზღი და ...ღმა.

როგორ პოზიციას დაიჭერენ აფხაზები საქართველოს სუვერენიტეტის შემთხვევაში?

პასუხი ნათელია და ერთმნიშვნელოვანი. „ლიტერატურული საქართველოს“ 4 აგვისტოს ნომერში აფხაზმა კრიტიკოსმა ვ. ...ვინარიამ პირდაპირ განაცხადა: „საქართველოში გაშლილი ეროვნული მოძრაობა იქითკენაა მიმართული, რომ საქართველო გამოვიდეს სსრკ შემადგენლობიდან. ჩვენ, აფხაზები, კატეგორიულად წინააღმდეგი ვართ ამისი და სანამ ერთი აფხაზიც ცოცხალი იქნება, მანამ ჩვენ საბჭოთა კავშირის ფარგლებში დარჩენისთვის ვიბრძოლებთ.“

აფხაზებს, როგორც უკვე ვთქვით, უმალვე ოსებმაც მიბაძეს.

და როგორ გგონიათ, საქართველოს სუვერენიტეტის შემთხვევაში რა პოზიციას დაიჭერს რუსეთი აფხაზეთისა და ოსეთის მიმართ? არ გაითვალისწინებს მათ სურვილსა და ხვეწნა-მუდარას?

და მეორეც, მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ აფხაზი ექსტრემისტების მორიგი ციკლური შემოტევა, ფერღანას ტრაგედია და ქვემო ქართლის ამბები, სრულიად შემთხვევით დაემთხვა ერთმანეთს. ასევე არც ცენტრალური პრესისა და რადიო-ტელევიზიის მიერ მოვლენების ტენდენციური გაშუქება ...ხლდათ რაიმე გაუგებრობის ...დეგი. დამეთანხმებით, რომ ...ციათა ეს სამარცხვინო კომპლექსი ქართველი ერისათვის ...ქარის ნიშნად თითის დაქნევა ... ყურის აწევა იყო.

ამიტომაც, როცა ვლაპარაკობთ საქართველოს სრულ დამოუკიდებლობაზე, გვმართებს ...ბაგანი საკითხების სრული თუ ...ა, თითქმის მაქსიმუმამდე მოგვარება.

— რას დაუმატებდით დღეს ჩვენს მაშინდელ ნათქვამს?

გ.ფ. — რა უნდა დავუმატო? სამწუხაროდ, მოხდა ის, რასაც ვვარაუდობდი. უბრალოდ, ...ინ ჩემი სათქმელი ბოლომდე ...ერ ვთქვი. მიუხედავად იმისა, რომ რედაქციამ ჩემი წერილის მიმართ ძალზე კეთილმოსურნე პოზიცია დაიჭირა, თავიდანვე ...ოდი, რომ საკითხის უფრო ...ულად გაშუქება ეგზალტირებულ ხალხს გაალიზიანებდა და ...სგვარ უბედურებას დაგვაბრალებდა.

— თუ არ ვცდები, თქვენ მაშინ სხვა პრობლემებზეც გქონდათ საუბარი.

გ.ფ. — დიახ. თოთხმეტი პრობლემა განვიხილე, რომლის გაუთვალისწინებლობისა და გადაჭრის გარეშე შეუძლებელია თუნდაც მოპოვებული დამოუკიდებლობის შენარჩუნება. იმ ეტაპზე კი, კარგად მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმი იყო.

დიახ, მორე პრობლემა, რომელიც მე განვიხილე, ასე ჩამოყალიბდა:

„რა გარემოში ვცხოვრობთ? პირველ რიგში, ვისთან ექნება საქმე სუვერენულ საქართველოს? რასაკვირველია, ირანთან და თურქეთთან.

აიათოლა ჰომეინი ამბობდა, საქართველო, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ საქართველო, ირანის კუთვნილებააო. საქართველოს მეფეებს (იგულისხმება დღევანდელი ხელმძღვანელობა) რუსები სულ ცოტა ხანია ამტკიცებენ მოსკოვში, როცა ადრე, საუკუნეების მანძილზე, ისინი ისპაჰანში ჩამოდიოდნენ დასამტკიცებლადო.

აი, რას წერს ისლამის სახელმოხვეჭილი ექსპერტი ალექსანდრე ბენინგსი: „ისლამი დღეს კომუნიზმის დამანგრეველ ძალას უფრო წარმოადგენს, ვიდრე დასავლეთის დემოკრატიისას. ჯერ ჯერ აღმოსავლეთის მტერია, მერე დასავლეთისა“. („ლ.გ.“ 20. V. 87 წ.).

დასავლეთგერმანელი ჟურნალისტი ვილჰელმ დიტლის აზრით: „როგორც კი ისლამი, ამჟამად კულისებს მიღმა რომ არის მიმალული, გამოიჭრება ფართო გზაზე და აჯანყდებიან აგრესიული ფუნდამენტალისტები, კრემლი მიიღებს ახალ პოლონეთს, ოღონდ თავის საკუთარ საზღვრებში“.

ეს სიტყვები რამდენიმე წლის წინაა დაწერილი. სურათი შეცვლილა. ყრილობებზე საბჭოთა კავშირის ისლამური რესპუბლიკების დეპუტატები თითქმის უკლებლივ წარმოადგენენ „აგრესიულად მორჩილ უმრავლესობას“, მაგრამ ალაგ-ალაგ, უკვე ვერ მალავენ თავიანთ ზრახვებს.

აი, რას ამბობს ლიტვის გაზეთ „ალგიმამისში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის ერთ-ერთი იდეოლოგი, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელი გამიდ ხერიში: „აზერბაიჯანის სახალხო ფრონტი საბჭოთა კავშირს განიხილავს როგორც დუალისტურ სახელმწიფოს: ამიტომ, ჩვენ გვაქვს ბალტიისპირეთისაგან სრულიად განსხვავებული ტაქტიკა. ჩვენ არ განვიხილავთ სსრკ-დან გასვლის შესაძლებლობებსაც კი, რადგან ეს იქნებოდა თურქული ერთობისაგან გასვლა. ბალტიისპირელთა გასვლა კი ჩვენთვის სასარგებლოა: სსრკ სამი ქრისტიანული ერთეულით ნაკლები დარჩება და ამით მუსულმანთა გავლენა კიდევ უფრო გაიზრდება საბჭოთა კავშირში. დიახ, მუსულმანებისათვის არაა ხელსაყრელი კავშირიდან გასვლა, რადგან ეს იქნება თურქული რღვევა, აზერბაიჯანი, ყირგიზეთი, ყაზახეთი, ბაშკირეთი, ვოლგისპირეთი, თათრეთი, იაკუტია, თურქმენეთი, ყირიმი და ჩრდილოეთ კავკასია თურქული მიწები გახლავთ და არ ვაპირებთ, იგი ვინმეს დავუთმოთ“ („სოგლასიე“, №18, 23—30. XI. 89).

...აკვირველია, შორს ვართ იმ აზრისაგან, ...ომ თურქეთში, საბჭოთა კავშირის მუსულმანურ რესპუბლიკებში და სხვა მუსულმანურ ქვეყნებში, ასე ფიქრობდეს მათი პროგრესული ან უბრალო მოსახლეობა, მაგრამ ამ დეტალის გაუთვალისწინებლობა არაფრით არ შეიძლება, მით უმეტეს, რომ ისლამური სეპარატისტები აფხაზეთის საქმეებშიც აქტიურად ურევენ ხელს. ისლამის ემისრებს საგანგებო დავალებით გზავნიან გუდაუთასა და ისლამურ ჩრდილოეთ კავკასიაში. მათგან მოდის მაცდუნებელი წინადადება, შეიქმნას ჩრდილოეთ კავკასიის ისლამური რესპუბლიკა, რასაკვირველია აფხაზეთის ჩათვლით. ახლად შექმნილ რესპუბლიკას ხომ უნდა ჰქონდეს თავისი საზღვაო ჭიშკარი!

ჩრდილოეთ კავკასიის რამდენიმე ავტონომიურმა ოლქმა და რესპუბლიკამ უკვე ჩაატარეს დამფუძნებელი ყრილობა. ეს ცნობა დიდი სიამაყით და სიხარულით მოგვაწოდა გუდაუთის გაზეთმა „ბზიფმა“. ზოგიერთები თავს იმშვიდებენ, თურქეთი ის აღარ არის, რაც უწინ იყოო. რასაკვირველია, პროგრესი დიდია. თანაც, ამ ბოლო დროს, გარკვეულ კეთილმოსურნე განწყობილებასაც ამჟღავნებენ საბჭოთა კავშირის მიმართ. თურქეთი დღეს აღმავლობის გზაზეა. ბოლო წლებში, თურქეთთან ჩვენმა ქვეყანამ დიდი სამრეწველო-ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები დაამყარა. მაგრამ... ისლამური სახელმწიფოდან ყოველთვის უნდა ველოდოთ მოულოდნელობებს. გავიხსენოთ, ირანის შაჰის გაძევების შემდეგ რა მკვეთრად შეიცვალა სიტუაცია ირანში... ამიტომაც, ჩვენ სხვათა დღევანდელი ცვალებადობების იმედით კი არ უნდა ვიყოთ, არამედ საკუთარი ძალის იმედით. აი, რას წერს თურქეთის „ჰურიეთი“ 24 ივლისის ნომერში: „ამას წინათ, სტამბოლში, პრესკონფერენცია ჩაატარა „ჩრდილოეთ კავკასიის კულტურის საზოგადოებამ“, რომელმაც მკაცრად დაგმო „თავის მიწაზე უმცირესობად ქცეული აფხაზების წინააღმდეგ მიმართული თავდასხმები (ხედავთ, თურმე ვინ ვის ესხმის თავს?-გ.ფ.). „საზოგადოებამ“ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც თურქეთისა და მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობისათვის გაცნობის მიზნით დეტალურად არის განხილულიმ საკითხი. კომუნიკეში, კერძოდ, ნათქვამია, „აფხაზეთის ნამდვილი მეპატრონენი — აფხაზები — სტალინური ეროვნული პოლიტიკის მსხვერპლნი გახდნენ: ისინ 1926 წლიდან მოყოლებული დღემდე, თავიანთ მიწაზე უმცირესობად აქციეს. ჩვენ ღრმა რწმენას გამოვთქვამთ, რომ თავისუფალი სინდისი ამ სამარცხვინო აქციის წინააღმდეგ ხმას ამოიღებს. მოგიწოდებთ ყველას, პასუხისმგებლობით მოეკიდოთ ადამიანთა და ერთა უფლებების დაცვის საქმეს.“

ძვირფასო მკითხველო, ხედავთ, თურქული გაზეთის სტატიიდან ამოწერილი მოსაზრებანი როგორ ჰგავს ლიხნის აფხაზურ წერილს?!

ერთი სიტყვით, ჩვენს მეზობლებს სურთ მტკიცე ისლამური ალყის შუაგულში მოგვაქციონ ქართველებიც და სომხებიც.

სამწუხაროდ, სომხები, ვერ გრძნობენ საფრთხეს. იმის ნაცვლად, რომ ჩვენთან იმეგობრონ, თავისას მაინც არ იშლიან. გაოცებული დავრჩი, როცა სომხები დეპუტატების მიერ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოში შეტანილი წინადადებამოთხოვნა ვნახე. კერძოდ, სომხები მოითხოვენ, რომ სომხეთი გამოცხადდეს ეკონომიკურად თავისუფალ ზონად, ერევანში აშენდეს საერთაშორისო აეროპორტი, უცხოეთში მცხოვრებ მილიონრებს საშუალება მიეცეს ერევანსა და სომხეთს საზღვაო ჭიშკრად გამოუყონ ბათუმი და ფოთი?!

ვაი, უბედურო საქართველო!

თან, ისიც ხომ უნდა ვიანგარიშოთ, რამდენად შეგვეძლება რუსეთის იმპერია ან რა პოზიციას დაიჭერენ ჩვენს მიმართ ამერიკის შეერთებული შტატები და დანარჩენი დიდი ქვეყნები. პატარა საქართველოს გულისათვის, რამდენად აწყენინებენ ისინი დიდ რუსეთს, სადაც მათთვის სასიკეთო დემოკრატიული პროცესები მიდის.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ამერიკა და დასავლეთის ქვეყნები „გარდაქმნას“ დიდი ინტერესით ადევნებენ თვალ-ყურს და ძალზე უჭერენ მხარს. უჭერენ არა იმიტომ, რომ ჩვენი კეთილდღეობა აინტერესებთ, არამედ იმიტომ, რომ მათ შიში აქვთ საბჭოთა იმპერიისა, რომელმაც დიდ წარმატებას მხოლოდ სამხედრო მრეწველობაში მიაღწია და ეშინიათ საბჭოთა კავშირისა, ეშინიათ, რადგან იმპერიაში გლობალური ომის საკითხიც შეიძლება ასევე იოლად, ორი-სამი კაცის სურვილით გადაწყდეს, როგორც ავღანეთის ომის საკითხი გადაწყდა. ამიტომ, გარდაქმნას და ჩვენი ქვეყნის დემოკრატიას ისინი, უპირველესად, საკუთარი კეთილდღეობისათვის უჭერენ მხარს და ეს, ალბათ, ბუნებრივია. აი, რას წერს ვაშინგტონელი მეცნიერი ედ. ჰიკატი, ჰამბურგის გაზეთ „ცაიტუნგში“ („ზა რუბეჟომ“, №45, 1989 წ.). „ჩვენ დიდ შეცდომას ჩავიდენდით, თუ საგარეო პოლიტიკას მხოლოდ იმაზე ავაგებდით, როგორ ვუშველოთ გორბაჩოვს. დასავლეთს არ შეუძლია უსიტყვოდ იყოს დაინტერესებული „პერესტროიკის“ წარმატებით, თუ ეს „წარმატება“ მხოლოდ იმით გამოიხატა, რომ საბჭოთა კავშირი გადაიქცეს ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერ ზესახელმწიფოდ“. ვფიქრობ, ეს არ არის მარტო ამერიკული მეცნიერების სიტყვა. ეს სიტყვები საერთო დამოკიდებულობის გამოხატვაა საბჭოთა კავშირის მიმართ.

„“ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს: „ლიტვაში შექმნილ ვითარებას, შესაძლოა, ჯაჭვური რეაქცია მოჰყვეს. საჭიროა, გონივრული გადაწყვეტილების მიღება. საშიშია საბჭოთა კავშირის კუთხეში მიმწყვდევა. რაც, მას უფრო საშიშ სახელმწიფოდ გახდის. კონსევატიულ ძალებს საბჭოეთში აშინებთ უკანასკნელი იმპერიის დაშლის პერსპექტივა“.

ბუში, ტეტჩერი, მიტერანი, კოლი, სხვა სახელმწიფოების ლიდერები და მათი სამთავრობო დაწესებულებები სპეციალურ თათბირებს აწყობენ, კონცეფციებს იმუშავებენ, როგორ შეხვდნენ საბჭოეთში გარდაქმნის პროცესს. მსჯელობენ, რა სჯობია, გამოხატონ დიდი სიხარული თუ გამოამჟღავნონ ზომიერი თანაგრძნობა.ეძებენ გარდაქმნისადმი სიმპათიის გამოხატვის გზებს, რომ არა გამოუვიდეთ ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევა ან წაქეზება.

აი, რამდენად განსხვავებულია ჩვენი მდგომარეობა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მდგომარეობისაგან,არც ის უნდა დაგვავიწყდეს,რომ ბალტიისპირეთს ამერიკაში, კანადაში და ავსტრალიაში ძალზე ძლიერი ემიგრაცია ჰყავს. კანადაში ლიტველებმა მაშინ გამოსცეს თავისი ენციკლოპედია, ლიტვაში რომ რედაქცია ის-ის იყო ყალიბდებოდა.

უკვე აღარაფერს ვამბობ სხვა უფრო წვრილმან მოვლენებზე, რომელთა გაუთვალისწინებობა არაფრით არ შეიძლება. ამ საკითხში კომპეტენტური სპეციალისტების მიერ სათანადო კონცეფციის შემუშავების დროს.“

დღეს ჩემს ნათქვამს ბევრი რამ მინდა დავუმატო, მაგრამ საგაზეთო ინტერვიუში სამწუხაროდ, ყველაფერი არ ჩაეტევა. მთავარი კი მაინც ისაა, რომ არ ვსწავლობთ ყველაფერს, რაც ჩვენზე იწერება, არ ვართ საქმის კურსში,რაც ჩვენს ირგვლივ ხდება. არ გვყავს ინფორმატორები, უფრო მეტიც, არ გვყავს პროპაგანდისტები, არაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ მსოფლიოს ჩვენი სიმართლე, პრობლემები და გულისტკივილი გავაგებინოთ. განა სამარცხვინო არ იყო, რომ არ აღმოგვაჩნდა ერთი კაციც კი, ლიხნის ცნობილი 30 ათასიანი კრების ამბავი რომ გამოეტანა. ისე მიიღეს ლიხნის წერილი, ისე დაიგზავნა იგი მთელს მსოლიოში, რომ ჩვენ არაფერი გაგვიგია. მხოლოდ მაშინ გავიგეთ ლიხნის წერილის ამბავი, როცა იგი „სოვეტსკაია აბხაზიამ“ გამოაქვეყნა.

გულთან არც კი მიგვიტანია, სოხუმში რომ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების კონფერენცია თუ ყრილობა რომ ჩატარდა, კონფედერაცია რომ ჩამოყალიბდა და სოხუმი რომ ამ კონფედერაციის დედაქალაქად გამოცხადდა.

მთიელ ხალხთა კონფედერაციის იდეა, რომელიც თავის დროზე თურქეთში მცხოვრებმა ჩრდილოეთ კავკასიის ემიგრანტებმა შეაკოწიწეს, თავდაპირველად მიზნად ისახავდა საერთოჩერქეზულ სახელმწიფოდ ჩრდილოეთ კავკასიის მცირერიცხოვანი ხალხების გაერთიანებას, ლიტერატურული ჩერქეზული ენის შექმნას და მე-16 საბჭოთა რესპუბლიკად ჩამოყალიბებას სსრკ-ს შემადგენლობაში.

მოგვიანებით ამ იდეამ ტრანსფორმაცია განიცადა და მოგვევლინა, როგორც საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული აგრესიული აქტის განხორციელების ცდა.

მთიელი ხალხების სოხუმის ყრილობაზე გამოაცხადეს ეგრეთ წოდებული თავდაცვის კომიტეტის შექმნა და შეიარაღებული ფორმირებების ჩამოყალიბება „იმპერიისაგან“ თავის დასაცავად. გაცხადდა „კონფედერაციის“ მიზანიც, რომელიც ბოდვითი იდეის დონეზე იყო შექმნილი აზოვისა და შავი ზღვიდან ვიდრე კასპიის ზღვამდე. იგი მიჰყვებოდა კავკასიონის ჩრდილოეთის და სამხრეთის კალთებს,“ჩაყლაპავდა“ შიდა ქართლს, რაჭას,სვანეთს, სამეგრელოს ნაწილს და მლიანად აფხაზეთს.

ამ საკითხის ირგვლივ ალ. ობოლაძის სტატია გამოქვეყნდა „საქართველოს რესპუბლიკის“ 1992 წ. 5 სექტემბერის ნომერში.

„კონფედერაცია“ გამოჩეკისთანავე საქართველოს მიმართ აგრესიულად განეწყო. მისი სტრატეგოსების აზრით, სამხრეთის რესპუბლიკისათვის მიწების წართმევა უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე ჩრდილოეთით განლაგებული გიგანტური რუსეთისათვის კაზაკებით დასახლებული ყუბანის დაბლობის დაბრუნება. „კონფედერაციის“ არსებობა მეზობლებისადმი კეთი-

გაგრძელება მე-8 გვ.

ტყვეობაში დაწერილი ერთი ლექსის ნაკვალევზე

ამ ადამიანებს ბედისწერამ საშინელი მსჯავრი გამოუტანა— ტყვეობა! ისინი ყოველდღე თვალებში უყურებდნენ სიკვდილს, ყოველდღე კაკობისა და სამშობლოს ერთგულების გამოცდებს აბარებდნენ.

ეგებ ესეც იყო მიზეზი, რომ განგებამ დაინდო, არ გასწირა, თუმცა მათი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა და ერთმა ღმერთმა იცოდა როდის გაწყდებოდა.

ეს ბიჭები, ერთ-ერთი ყოფილი ტყვის, ალექსანდრე სირბილაძის მეშვეობით გავიცანით. უფრო სწორად ალექსანდრემ თავის მეგობრის, მამუკა გოგებაშვილის მიერ ტყვეობაში დაწერილი ლექსი მოიტანა და მაშინ გადავწყვიტეთ მის კვალს გავყოლოდით, რომელმაც უზნაძის ქუჩაზე მდებარე, ყოფილ საარტილერიო სასწავლებლის ტერიტორიაზე განლაგებულ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ბატალიონში მიგვიყვანა. აქ გავიცანით ასევე ტყვეობაში ნამყოფი ბატალიონის უფროსი, პოდპოლკოვნიკი ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲔᲤᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ქვემოთ სწორედ მის მონოლოგს გთავაზობთ.

— ჩვენ სამოკაციანი რაზმი ორი წელია იბრძვის. ჯერ იყო და სამაჩაბლოში გაგვაერთიანეს, ჭუთაისში გადაგვაგზავნეს, სადაც რუსმა სპეციალისტებმა სპეცსამსახურისათვის მოგვამზადეს. თბილისში დაბრუნების შემდეგ ქალაქის შესასვლელებს ვიცავდით. პარალელურად ტელეანძას ვდარაჯობდით. სამაჩაბლოში სამშვიდობო ძალები, ეგრეთწოდებული ციხფერჩაფხუტიანები, რომ შევიდნენ, ჩვენი ბატალიონიდან 60 კაცი გაგვაგზავნეს. თავის ქებაში თუ არ ჩამომართმევთ ვეტყვით, რომ იქაურებმა ძალიან შეგვიყვარეს. ხშირად უთქვიათ— თქვენი ჩამოსვლის შემდეგ ძილი აღარ გვიტყდება და ტანსაცმელი გამოვიცვალეთო. ერთხელ სოფელს გატაცებული 60 სული პირუტყვი დავუბრუნეთ. მერე იყო რომ ძველი ეკლესიის გაწმენდა და აღდგენა დავიწყეთ. მოულოდნელად გამოვიძახეს და სექტემბრის ბოლოს გაგრაში წინა ხაზზე გაგზავნეს.

იქ ორი პოზიცია დავიკავეთ, თუმცა დაპირებისამებრ არც ნორმალურად შეგვაია-რაღეს და არც მძიმე ტექნიკა მოგვცეს. ეგ კი არა და პოზიციებზე ღია მანქანებით დავდიოდით — მტრისთვის მშვენიერი სამიზნე ვიყავით.

სანატორიუმში, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, ქართველებთან ერთად აფხაზები, რუსები და სომხებიც მუშაობდნენ. ჩვენი ბიჭები მომსახურე პერსონალს პატივისცემითა და მორიდებით ეკცეოდნენ. ამაზე თქვენს ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ როდესაც ტყვედ ჩავვარდით სანატორიუმის პერსონალიდან ბევრი არაქართველი ამოვიდა, გვნახა და კეთილი სიტყვა შეგვაწია.

მტერი რომ შეტევაზე გადმოვიდა, ჩვენი ბატალიონი, "დიდგორი", „თეთრი გიორგის" და „ავაზას" ბატალიონის მებრძოლებთან ერთად წინა ხაზზე გავმაგრდით. ჩვენი მზვერავების ვარაუდით დილის ოთხ საათზე მტერი ჰაერიდან დაგვბომბავდა. მაგრამ, მოხდა ისე, რომ, მოწინააღმდეგემ 7 საათზე შემოგვიტია ტანკებით და ძლიერი არტილერიით.

სამწუხაროდ, ჩვენმა ერთმა ტანკმა „ორმა" ბეტეერმა" დაწოლას ვერ გაუძლო და უკუიქცა. აირია მონასტერი. მტერი კარგად იყო ორგანიზებული. საბოლოოდ მტერს ჩვენი ბატალიონიღა შერჩა. ჩვენ შემოგვიერთდა სხვა ბატალიონების რამოდენიმე მებრძოლიც.

სანატორიუმისკენ დავიხიეთ და შენობაში გავმაგრდით. 70 კაცამდე ვიყავით, ფიფიები ვიდექით და ვბჭობდით, რომ მოულოდნელად კიბეებზე კაზაკები გამოჩნდნენ. გონს მოსვლა ვერ მოვასწარით, რომ ერთ-ერთმა მათგანმა ყუმბარა გვესროლა. მოხდა სასწაული და არ აფეთქდა, თორემ ყველას ნაფლეთებად გვაქცევდა. ოთხივე მხრიდან შემოგვიტიეს. მთელი ათი საათი ვიცავდით თავს. ჩვენებმა რაციით შეგვატყობინეს, რომ ჰაერიდან დაგვეხმარებოდნენ, მაგრამ დაღამდა, ტყვია-წამალი შემოგველია. ამასობაში ჩვენი ვერტმფრენიც გამოჩნდა. მტრისას და ავიასს, ჩამოყრილი ბომბებიდან უმეტესობა ჩვენს შენობას დაეცა. ბოლო სამი საათი მტერი ტანკიდან გვიშენდა ჭურვებს. ამასობაში პირველ სართულზე ამონალი შემოზიდეს და გაგვაფრთხილეს:

— თუ ტყვედ არ ჩაგვბარდებით, შენობას ავაფეთქებთო. სამაგიეროდ სიცოცხლის გარანტიას გვაძლევდნენ. გაგვიჭირდა გადაწყვეტილების მიღება. უკეთესი გამოსავალიც არ ჩანდა... იარაღის ნაწილი გავაფუჭეთ, ნაწილი გადავმალეთ...

მათ ჯერ დაჭრილები გაიყვანეს.

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲯᲐᲚᲐᲚᲝᲜᲘᲐ

ეს ლექსი დაწერილია ტყვეობაში, გუდაუთის საკონცენტრაციო ბანაკში და ეძღვნება გუდაუთის ტყვეობაში ნამყოფ განსაკუთრებული დანიშნულების ბატალიონის წევრებსა და გაგრის ტრაგედიის ყველა მონაწილეს.

გათენდა, ნიავი არხევს კენწეროს,
ცა მოწმენდილა, დევს დილის ცვარი,
სიჩუმე ბინდავს ირგვლივ სამყაროს,
შავი ზღვა იყო ნელი და წყნარი.

უცებ გრუხუნმა ზეცა გახვრიტა,
მიწას დაეწვა ნისლივით კვამლი
დენთის ღრუბელმა გაგრა დაფარა,
ტყვიების წვიმამ დატოვა კვალი.
სისხლის ობშივარს მოაფრქვევს ქარი,
ქალაქს დაესხა ურჯულოთ ტომი,
დაჭრილთა ხვნეშა, მრავალი მკვდარი,
ეს იყო, ძმაო, სატანას ომი.
ზოგი შეშინდა, ბრძოლას გაექცა,
იქ დარჩა რაზმი სამოცი კაცით,
რაზმი ითხოვდა მაშველთა ძალას,
არვინ მოსულა მარქაფის ძალით.
ათასი კაცი უტევდა სამოცს
სისხლის ტბა იდგა იმ შენობაში,
მრავალი ბიჭი მოაკლდა საძმოს,
მრავალმა დედამ ჩაიცვა შავი.
და ვინც გადავრჩით იმ ავბედით დღეს,
ღმერთის წინაშე ვფიცავდეთ მარად:
არ დავივიწყებთ მათ წმინდა სახელს,
შენდობას ვიტყვით მარად და მარად!...

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲢᲧᲕᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲐᲚᲔᲕᲖᲔ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘᲡ, "ᲓᲘᲓᲒᲝᲠᲘᲝ", „ᲗᲔᲗᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ" ᲓᲐ „ᲐᲕᲐᲖᲐᲡ" ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲬᲘᲜᲐ ᲮᲐᲖᲖᲔ ᲒᲐᲕᲛᲐᲒᲠᲓᲘᲗ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲖᲕᲔᲠᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲠᲐᲣᲓᲘᲗ ᲓᲘᲚᲘᲡ ᲝᲗᲮ ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲛᲢᲔᲠᲘ ᲰᲐᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲒᲐᲑᲝᲛᲑᲐᲕᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲛᲝᲮᲓᲐ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔᲒᲔᲛ 7 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲘᲢᲘᲐ ᲢᲐᲜᲙᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲐᲠᲢᲘᲚᲔᲠᲘᲘᲗ.

ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲔᲠᲗᲛᲐ ᲢᲐᲜᲙᲛᲐ „ᲝᲠᲛᲐ ᲑᲔᲢᲔᲔᲠᲛᲐ" ᲓᲐᲬᲝᲚᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲣᲫᲚᲝ ᲓᲐ ᲣᲙᲣᲘᲥᲪᲐ. ᲐᲘᲠᲘᲘᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ. ᲛᲢᲔᲠᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ. ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲛᲢᲔᲠᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘᲓᲘᲐ ᲨᲔᲠᲩᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲘᲔᲠᲗᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲛᲝᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘᲪ.

ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲝᲚᲝ�გᲡ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ.

— ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲛᲝᲪᲙᲐᲪᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲖᲛᲘ ᲝᲠᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲡ. ᲯᲔᲠ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲩᲐᲑᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲒᲕᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲡ, ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲒᲖᲐᲒᲜᲐᲕᲔᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲛᲝᲮᲓᲐ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲕᲘᲓᲜᲔᲡ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲓᲜᲔᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲠᲘᲡ ᲢᲠᲐ�გᲔᲓᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲡ.

ᲒᲐᲗᲔᲜᲓᲐ, ᲜᲘᲐᲕᲘ ᲐᲠᲮᲕᲔᲕᲡ ᲙᲔᲜᲬᲔᲠᲝᲡ,
ᲪᲐ ᲛᲝᲬᲛᲔᲜᲓᲘᲚᲐ, ᲓᲔᲕᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ ᲪᲕᲐᲠᲘ,
ᲡᲘᲩᲣᲛᲔ ᲑᲘᲜᲓᲐᲕᲡ ᲘᲠᲒᲚᲕᲘᲗ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ,
ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲐ ᲘᲧᲝ ᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲬᲧᲜᲐᲠᲘ.

ᲣᲪᲔᲑ ᲒᲠᲣᲮᲣᲜᲛᲐ ᲖᲔᲪᲐ ᲒᲐᲮᲕᲠᲘᲢᲐ,
ᲛᲘ�წᲐᲡ ᲓᲐᲐᲬᲕᲐ ᲜᲘᲡᲚᲘᲕᲘᲗ ᲙᲕᲐᲛᲚᲘ
ᲓᲔᲜᲗᲘᲡ ᲦᲠᲣᲑᲔᲚᲛᲐ ᲒᲐᲒᲠᲐ ᲓᲐᲤᲐᲠᲐ,
ᲢᲧᲕᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲕᲘᲛᲐᲛ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ ᲙᲕᲐᲚᲘ.
ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲝᲑᲨᲘᲕᲐᲠᲡ ᲛᲝᲐᲤᲠᲥᲕᲔᲕᲡ ᲥᲐᲠᲘ,
ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲓᲐᲔᲡᲮᲐ ᲣᲠᲯᲣᲚᲝᲗ ᲢᲝᲛᲘ,
ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲗᲐ ᲮᲕᲜᲔᲨᲐ, ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲙᲕᲓᲐᲠᲘ,

საქართველოს სახალხო ფრონტი და საქართველოს რესპუბლიკური პარტია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე, ბათუმის სახალხო ფრონტის ერთ-ერთი დამფუძნებელი საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წევრი

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲯᲐᲚᲐᲚᲝᲜᲘᲐ

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲙᲐᲡᲠᲐᲫᲔ

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲡᲮᲔᲓᲐᲜ (ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲓᲐᲜ) ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲡᲘᲠᲑᲘᲚᲐᲫᲔ, ᲞᲐᲐᲢᲐ ᲑᲐᲑᲢᲐᲫᲔ, ᲓᲐᲒᲐᲜᲐᲜ: ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲙᲝᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲤᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲒᲔᲚᲐᲫᲔ, ᲐᲜᲖᲝᲠ ᲢᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲩᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲗᲔᲛᲣᲠ ᲗᲐᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ირაკლი ქადაგიშვილი:

არსებობს საშიშროება, რომ საქართველო კონტრაბანდის ქვეყნად გადაიქცეს

— ბატონო ირაკლი, სულ ორიოდე თვეა, რაც თქვენ რესპუბლიკის საბაჟო კომიტეტს ჩაუდექით საოაეში. როგორია ახალი ხელმძღვანელის პირველი ნაბიჯები? რა პრობლემები დგას დღეს საბაჟო სამსახურის წინაშე?

— საბაჟო საქმე, იმ გაგებით, როგორც ნორმალურ ქვეყნებშია, საქართველოში არ არსებობდა. საბაჟო არის არა მარტო ის, რასაც მოქალაქე საზღვარზე გასვლისას ხედავს, არამედ, პირველ რიგში, ის დოკუმენტები, ის საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, რომლებიც განაპირობებენ საბაჟოს არსს, მის ფუნქციონირებას, რაც საბოლოო ჯამში სახელმწიფოსთვის მოგების მოტანის საფუძველია. დღესდღეობით ჩვენ საკანონმდებლო საფუძველი ძალიან ღარიბი გვაქვს. თუმცა ეს მარტო ჩვენი სამსახურის პრობლემა არ არის, ასეა მრავალ უწყებასა და სამინისტროში. თუმცა უკვე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა იურიდიული და საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად. იმის გამო, რომ ჩვენ სახელმწიფოებრიობა დაკარგული გვქონდა და მთელი რიგი სახელმწიფოებრივი სტრუქტურები არ გაგვაჩნდა მათი შექმნა და გაფორმება ფაქტიურად ახლა იწყება. ახლო მომავალში მთავრობის განხილვის საგანი გახდება პირველი დოკუმენტები, რაც აუცილებელია საბაჟო საქმეთა განხორციელებისათვის. ჩვენ დღეს მარტოოდენ საბაჟო კოდექსი გაგვაჩნია, რაც იგივეა, რომ ქვეყანას მხოლოდ კონსტიტუცია ჰქონდეს და სხვა კანონები არ გააჩნდეს.

მეორე პრობლემაა თავად საბაჟოების გახსნა. ეს ძალიან რთული საკითხია. მოგეხსენებათ, რომ საქართველოს არ აქვს მკაცრად ჩამოყალიბებული და განსაზღვრული საზღვარი. საზღვრის უქონლობა უკვე განაპირობებს იმას, რომ კონტროლი საზღვარზე გართულებულია. თავად საბაჟოს პროფესიული მომზადება ვერაფითარ კრიტიკას ვერ უძლებს. კადრების მომზადების პრაქტიკაც არ ყოფილა საქართველოში. ესეც ჩვენი გასაკეთებელი საქმეა. ამ ეტაპზე, ალბათ, რუსეთის გამოცდილების გამოყენებაც შეიძლება და უცხოეთისაც.

მძიმე მდგომარეობა გვაქვს მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის მხრივაც. სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე ფარლალა ჯიხურები დგას. მატერიალური ბაზის სიმწარე არანაირ საშუალებას არ იძლევა, რომ სერიოზული მუშაობა ვაწარმოოთ.

ხელისშემშლელი ფაქტორია ათასი ჯურის შეიარაღებული ფორმირების განუკითხავი თარეში საზღვრებზე, ყველანაირი ტვირთის ძარცვა; მათთვის არ არსებობს არავითარი კანონი, არანაირი საზღვარი, მოთხოვნა, ოფიციალური ხელისუფლება. მათი ასეთი თვითნებობა ყველანაირ ძალისხმევას წყალში ყრის. ასეთი პრობლემები დგას, ძირითადად, ჩვენი სამსახურის წინაშე, რაც იმავდროულად სახელმწიფოებრივი პრობლემაცაა.

— გთანხმებთ, რომ საბაჟო არის სახელმწიფოებრივი სტრუქტურა და მას სახელმწიფოს ფრუნვა სჭირდება. ნორმატიულ და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან ერთად თქვენს სამსახურში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საკადრო პოლიტიკასაც. აქ გადაწყვეტი სიტყვა, ალბათ, თქვენ მიკუთვნით. მე ვიცი, რომ საბაჟო კომიტეტში ძირითადად ახალგაზრდები მოვიდნენ. რა პრინციპით ხელმძღვანელობთ კადრების შერჩევისას?

— რა თქმა უნდა, საკადრო პოლიტიკა ძალიან მნიშვნელოვანი საფუძველია შემდგომი მუშაობისათვის. თქვენ სწორად შენიშნეთ, რომ კომიტეტი ახალგაზრდულია. ეს გამირობებულია იმით, რომ პროფესიონალიზმი ჩვენში საკმაოდ მწირია. მაგრამ ჩვენთან მუშაობას განაგრძობს ძველი თაობის ბევრი მუშაკი, რომლებიც ხელს გვიწყობენ, რომ ახალმა კადრებმა, ჩემი ნათლით, ადგილი შეისწავლონ საქმე.

და მაინც მთავარი მომენტი, რაც საქმის წინსვლის აუცილებელ გარანტიად მიმაჩნია, არის გუნდის არსებობა. სწორედ ამ პრინციპით ავირჩე მე საკადრო პოლიტიკის ფარგლებს.

ჩვენი კომიტეტის დანიშნულება და მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე არის ის, რომ სახელმწიფოს ინტერესები მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს: ბიუჯეტში იყოს მნიშვნელოვანი წყარო შემოსავლისა, სახელმწიფოს გააჩნდეს შესაბამისი სტატისტიკა, ჩამოყალიბდეს კონტრაბანდასთან სერიოზული ბრძოლის წინაპირობები და სხვა. ეს არის ჩემი და ამ კომიტეტის ამოცანა. და მე მიმაჩნია,რომ ამ საკმაოდ რთული ამოცანების გადაჭრის ერთ-ერთი მთავარი პირობა არის გუნდი, რომელიც ურთიერთნდობითა და შეთანხმებით იმოქმედებს.

— რა სტადიაშია გუნდის ჩამოყალიბების საქმე?

—აპარატის კომპლექტაცია ძირითადად დამთავრებულია. თბილისის საბაჟოზე მნიშვნელოვანი ცვლილებებია, იქ მუშაობა კვლავ გაგრძელდება. თბილისის საბაჟო ცოტა ხანში რკინიგზის კონტროლის ორგანიზებას დაამთავრებს. ეს ნიშნავს იმას,რომ ყველა ტვირთი, რომელიც საქართველოდან რკინიგზით გადის, დაექემდებაროს საბაჟო კონტროლს. მიმდინარეობს მუშაობა, რომ ყველა თვითმფრინავი, რომელიც თბილისიდან მიფრინავს არა მხოლოდ უცხოეთში, არამედ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში, ასევე საბაჟოს კონტროლს ექემდებარებოდეს. შეიძლება მოსკოვისა და ფრანკფურტის რეისებზე კონტროლი უფრო რბილი იყოს, ვიდრე სხვა ქვეყნებისაზე, მაგრამ უნდა არსებობდეს წესი, თუ რა მიმართულებით როგორი საბაჟო კონტროლი დავაწესოთ. ასევე ცვლილებები იქნება ფოთის, ბათუმის, ბოლნისის საბაჟოებზე, იმ რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც იქ არსებობს. ჩვენ სერიოზულ ცვლილებებს ვაპირებთ. თავდაპირველად კი მუშაობა უნდა წარვმართოთ იმ ობიექტურ მიზეზთა აღმოსაფხვრელად, რაც ამ საბაჟოების ფუნქციონირებს ხელს უშლის.

—თქვენ მოსკოვი ახსენეთ. საინტერესოა რამდენად არის დამოუკიდებელი ჩვენი საბაჟო პოლიტიკა რუსეთის საბაჟო პოლიტიკისაგან?

— ჩვენ გვაქვს ასეთი პოლიტიკური ლოზუნგი, რომ „საქართველო იმყოფება მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ არეალში“, რომ „ტრანზიტისათვის ბრწყინვალე ქვეყანა ვართ“ და ა.შ. მაგრამ სხვა საკითხია, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ ლოზუნგების რეალიზება. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველომ უნდა გაატაროს ისეთი საბაჟო-სატარიფო პოლიტიკა, რომ ყველას, შინაურსაც და გარეშესაც, საქართველოს გაელით ტვირთის გატანა სარფიან და სასარგებლო საქმედ მიაჩნდეს. ამით ერთბაშად რამდენიმე სასიკეთო საქმე გაკეთდება: სახელწიფო ბიუჯეტი მიიღებს მნიშვნელოვან მოგებას, დიდ ტვირთბრუნვას გზაზე მოჰყვება დიდი ვაჭრობა, მომძლავრდება სერვისი და ეკონომიკური ცხოვრებაც გამოცოცხლდება.

დღეს ჩვენ დამოუკიდებლები ვართ რუსეთისგანაც და დსთ-განაც, მაგრამ სწორედ აქ გვჭირდება დაფიქრება. თუ რუსეთთან იგივე საბაჟო პოლიტიკას გავატარებთ, რაც ტრადიციულად დასავლეთის ქვეყნებთან ტარდება, შეიძლება ამან ცუდი შედეგები მოგვცეს. იმიტომ, რომ დღეს, გვინდა თუ არა, ეკონომიურად ყველაზე ახლოს რუსეთთან ვართ დაკავშირებული და ანალოგიური საბაჟო პოლიტიკა,რომ გავატაროთ რუსეთთან, რაც საზღვარგარეთთან წარმოებს— ჩვენ ძალიან დავზარალდებით. უბრალოდ ჩვენ ტერიტორიაზე ტრანზიტი არ განხორციელდება.

თუმცა რუსეთი იქითკენ მიდის, **რომ ჩვენთან იგივე საბაჟო პოლიტიკა განახორციელოს, რაც საზღვარგარეთთან აქვს. ჩვენ უნდა მოვახერხოთ, რომ რუსეთთან, ამ ეტაპზე, რბილი საბაჟო პოლიტიკა გვქონდეს, ამით ჩვენ უფრო დიდ მოგებას ვნახავთ. თუმცა ეს უკვე მარტო ჩემი გადასაწყვეტი პრობლემა არ გახლავთ. იმ დიდ ხელშეკრულებაში,რომელიც რუსეთთან მზადდება, ჩვენი კომიტეტის პრობლემებიც არის გათვალისწინებული. ხოლო ხელშეკრულება პარლამენტმა უნდა განიხილოს და დამტკიცოს.**

— **თქვენ ბრძანეთ, რომ სხვადასხვა შეიარაღებული ფორმირებების თვითნებობა საზღვრებზე ხელს უშლის საბაჟო კომიტეტის მუშაობას და აქედან გამომდინარე სახელმწიფოებრივი ინტერესებიც ზიანდება.**

—მათი ასეთი განუკითხავი მოქმედება ყველა წამოწყებას წყალში ყრის. ავიღოთ ასეთი მაგალითი: სომხეთიდან მოდის ტვირთი. სომხეთს დღეს ერადგილი გასავალი აქვს საქართველოს მეშვეობით,რადგან აზერბაიჯანთან საომარ მდგომარეობაშია. როდესაც ჩვენს გზაზე ნორმალური ტვირთბრუნვაა. სომხეთს ტვირთი საქართველოს გავლით მიაქვს. ამით რესპუბლიკის ბიუჯეტი საბაჟო გადასახადის სახით მნიშვნელოვან მოგებას იძენს. ნორმალურ მუშაობას კი საბაჟოებს არ აძლევენ შეიარაღებული ფორმირებების წარმომადგენლები. არსებობს უამრავი მოხსენებითი ბარათი, სადაც პირდაპირ წერია ამის თაობაზე. სახელმწიფო მეთაურის განკარგულებით შინაგან საქმეთა სამინისტროში იქმნება სპეციალური პოლკი, რომელიც იზრუნებს **ტრასების დაცვაზე.**

— **საბაჟო კომიტეტი, ობიექტური მიზეზების გამო, ვერ აკონტროლებს დღეს როკის გვირაბსა და გაგრის საბაჟოს. როგორ გესახებათ მომავალში ამ საბაჟოების კონტროლი?**

— ჩემს მოსვლამდე გაგრაში უკვე უნდა ამოქმედებულიყო საბაჟო. დანიშნული იყო ხელმძღვანელი, გვქონდა საკონტროლო პუნქტიც, მაგრამ თუ რა ამბები დატრიალდა იქ თქვენ კარგად მოგეხსენებათ.

რა შეიძლება ითქვას? როგორც კი სახელმწიფო იურისდიქცია აღსდგება, მოლიანად ან ნაწილობრივ, ცხინვალის რეგიონში და აფხაზეთში ჩვენ მაშინვე დავაწესებთ კონტროლს. ჯერჯერობაზე საუბარი. დასკვნა ერთია: მოშზადდეს სერიოზული პროგრამა ახალციხის საბაჟოს გადასვლასთან დაკავშირებით. ეს პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს თურქეთის დამოკიდებულებას, თუ რა დონის საბაჟოს ვთანხმდებით, რა სიდიდის ტვირთბრუნვაა გათვალისწინებული

ერთი სიტყვით, ყოველმხრივ შესწავლილი პროგრამა უნდა იყოს. აი, ასეთი კურსი გვაქვს აღებული.

— **ბათუმის საბაჟოსთან დაკავშირებით, მინდა ასეთი ფაქტი გავიხსენოთ. ამას წინათ, რუსეთისა და უცხოეთის საინფორმაციო საშუალებებმა გააკეთეს ცნობა, რომ თურქეთში დააკავეს ორი მსუბუქი ავტომობილი, რომლებსაც გადაჰქონდათ დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება. ცნობაში ფიგურირებდა ბათუმის საბაჟო. დაწვრილებით ხომ ვერ გვეტყოდით რამეს ამ ფაქტის შესახებ?**

— საშიშროება იმისა,რომ საქართველო გადაიქცეს ნარკოტიკებისა და კონტრაბანდის ქვეყანად ნამდვილად არსებობს. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის რომ, საზღვრები საქართველოში დაუფარელია, რომ საბაჟო სამსახური არ ფლობს თავის სიმაღლეზე, რომ არასტაბილური მდგომარეობაა და სახელმწიფო იერარქიულობის ორგანოები ვერ ფლობენ სიტუაციას. ეს ის ობიექტური სიძნელეებია, რაც ჩვენს სახელმწიფოს გააჩნია დ ეს ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის კონტრაბანდისტებისთვის.

რაც შეეხება კონკრეტულად თქვენს მიერ ნახსენებ ფაქტს. ეს მანქანები დაშადდა პაკისტანში ქარხნული წესით და მანქანის შასზე ჩამონტაჟებული იყო კონტეინერი კონტრაბანდისთვის. ამის აღმოჩენა თითქმის შეუძლებელია ხოლმე, თუ არ არსებობს წინასწარი ინფორმაცია.

ინტერპოლმა წინასწარ იცოდა ამ ავტომობილების არსებობა, აცალა, სანამ ისინი შეუფერხებლად გამოიცლიდნენ სხვადასხვა ქვეყნების საბაჟოებს, რადგან მათი ამ ქვეყნებში გაუვნებელყოფა არც ისე უსაფრთხო იყო. თურქეთში საქმე სროლამდეც კი მივიდა ამ ოპერაციის ჩატარების დროს. ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ საბაჟო სამსახურის სრულყოფისათვის ჩვენ მჭიდრო ურთიერთობა უნდა გვქონდეს ინტერპოლთან და სახელმწიფოთა სხვა სამართალდამცველ ორგანოებთან.

— **ბატონო ირაკლი, ხალხში ჩამოყალიბებულია წარმოდგენა, რომ ყველაზე წვრილამან მეგაჟეს კი დღეში მილიონის შოვნა შეუძლია. თქვენ ხელისშემშლელი ობიექტური მიზეზები კი ჩამოთვალეთ, მაგრამ არის სუბიექტური მიზეზებიც. თავად ამა თუ იმ პროფესიის ადამიანის შეგნება, სახელმწიფოებრივი პატრიოტიზმი, რაც ჩვენში ერთობ დაბალია და ყველაზე მეტად იქ იწვნს თავს, სადაც დიდია ცდუნება. თქვენ თავად თუ დამდგარხართ ამგვარი ცდუნების წინაშე? თუ შემოუთავაზებიათ თქვენთვის ქრთამი?**

— პირადად ჩემთვის არავის არაფერი შემოუთავაზებია.

რაც შეეხება თქვენს მიერ ჩამოთვლილ სუბიექტურ მიზეზებს — თავად ადამიანის შეგნებას, რომელიც მუშაობს საბაჟოზე ესეც,რა თქმა უნდა, ჩვენი პრობლემაა, მაგრამ იგი ეროვნული პრობლემაცაა. რადგან ის მეტად მაღე მოიხვეჭელური ფსიქოლოგია, რაც ხალხში ჩამოყალიბდა, ალბათ ყველაზე ძნელი დასაძლევია. თითონ მისწრაფება იმისკენ, რომ თავის ქვენა გრძნობებს მისცეს გასავალი-წესად ყალიბდება., მიუხედავად იმისა,თუ სად მოღვაწეობს იგი. ეს, ალბათ ერის ხნოვრივი დაცემიდან მოდის და უფრო მეტია, ვიდრე ჩემი კომიტეტის ან ცალკე აღებული რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურის მუშაკთა ხნოვრივი პრობლემა.

მე დასაწყისში ვისაუბრე იმ იურიდიულ და საკანონმდებლო ბაზაზე, რომელიც შექმნის სტადიაშია. მიმაჩნია, რომ კარგი კანონი, სულ მცირე იმის საშუალებებს მაინც მოგვცემს, რომ ეს მანკიერი პროცესები ცოტათი შეიზღუდოს. ყველავერს კი მაინც დრო და მოთმინება სჭირდება.

ესაუბრა
კობა ლიკლიკაძე

გურამ ფანჯიკიძე: არა გვაქვს შეცდომის უფლება!

გაგრაელება

ლგანწყობილ ნებისიერ, ცივილიზებულ ქვეყანაში სამართლიან პროტესტს გაზოიწვევდა (სამართლიანად) წერს ალ. ობოლაძე. მაგრამ რატომღაც რუსეთის ფედერაციაში ასე არ ხდება, რაც გვაფიქრებინებს,რომ იქ არიან ძალები, რომელთაც „კონფედერაციის“ ანტიქართული სულისკვეთება ხელს აძლევთ, და ვინ იცის, იქნებ ეხმარებიან კიდეც საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიული აქციების მოწყობაში

„როსიისკაია გაზეტამ“ 19 ივნისის ნომერში დაბეჭდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის ანდრანიკ მიგრანიანის სტატია, რომელშიც დაკვირვებული მკითხველი ადვილად ამოიცნობდა გარკვეული წრეების დავალებას. ამ წერილს ჩვენ დროზე უნდა გავეფრთხილებინეთ, იმთავითვე საჭირო დასკვნები უნდა გამოგვეტანა. ავტორის აზრით, მდგომარეობა საგანგებო ხდება არა მარტო ჩრდილოეთ კავკასიაში, არმედ ამიერკავკასიაშიც, სადაც ჯგუფი სახელმწიფოებისა ეომება საქართველოს. ამ „ჯგუფში“ აღმოჩნდნენ ისეთი „სახელმწიფოები“, როგორიცაა ე.წ. სამხრეთ ოსეთი და ჩრდილოეთ ოსეთი. ავტორი „წინასწარმეტყველებდა“, რომ მალე ოსების მხარეზე იომებენ მთიელი ხალხები და, მაშასადამე, თვით რუსეთიც, რადგან ჩრდილოეთ ოსეთი რუსეთის შემადგენლობაშიაო. იგი რუსეთის ხელმძღვანელობას უსაყვედურებდა, რომ მან არ მოინდომა და არ დაიცვა „სამხრეთ ოსეთი“ და ამით ფაქტობრივად ხელი ჰკრა თავის ბუნებრივ მოკავშირეს ამ რეგიონში, რომელიც ჩრდილო ოსეთთან გაერთიანების შემთხვევაში შეიძლებოდა მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი გამხდარიყო რუსული ინტერესების წარმოსადგენად. მკითხველისათვის ადვილი მისახვედრია ამხანაგ ანდრანიკს რატომ აძლევს ხელს საქართვლეოს დასუსტება და დაქუცმაცება.

— რამდენადაც მახსოვს, თქვენ ეროვნულ არმიაზეც გაქვთ მოსაზრებანი გამოთქმული.

გ.ფ. — დიახ. თავდაცვის საკითხის მოგვარება ერთ-ერთი უპირველესია სასიცოცხლო საკითხებს შორის. მაშინ ვწერდი: „ეროვნული არმია, მისი შექმნა, ჩამოყალიბება, შეიარაღება და შენახვა უდიდეს სირთულეებთან არის დაკავშირებული. დამოუკიდებელ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს გარდა ყველგან რთული სასაზღვრო რაიონები გვექნება.

არის ერთი გამოსავალი, საზღვრების გასწვრივ, ფეხის ყოველ ნაბიჯზე მესაზღვრეები რომ არ გვყავდეს დაყენებული. ესაა ურთულესი თანამედროვე რადარული სისტემა, რომელიც ისრაელში ვნახე. მსგავსი რამ არ გააჩნია არც ამერიკას და არც იაპონიას. იგი თვითონ ისრაელის მეცნიერებმა შექმნეს. ეს სისტემა არამარტო ურთულესია, უძვირესიცაა, მილიარდობით დოლარი ღირს. სათანადო აპარატურა განლაგებულია თელავივის შტაბში, სადაც ტელევიზორების ეკრანებზე კონტროლდება ყოველი სასაზღვრო მეტრი.

სხვათა შორის, ჩემი ისრაელში ყოფნის დროს, უფრო ზუსტად, ოქტომბერში, სირიელმა მფრინავმა მუჰამედ ბასამ ადელმა თავისი „მიგ-29“ ისრაელის სამხედრო აეროპორტში დასვა და პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა. ამ ფაქტმა საშინლად ააღელვა და შეაშფოთა მთელი ისრაელი. როგორ მოხდა, რომ მტრის თვითმფრინავმა შვიდი წუთი იფრინა ისრაელის ტერიტორიის თავზე და იგი ვერ აღმოაჩინა ამ ურთულესმა და უნიკალურმა რადარულმა სისტემამ? მაშ, არც ისე საიმედო ყოფილა ჩვენი დაცვაო. გაჩნდა ეჭვი და ხალხი აშკარად მოითხოვდა სამხედრო ხელმძღვანელობის გადაყენებას.

ისრაელი შემთხვევით არ მიხსენებია. ბევრი პრობლემა, რაც მათ წინაშე იდგა და დგას, დადგება დამოუკიდებელი საქართვლეოს წინაშეც. ამ პრობლემათა შორის კი, ერთ-ერთი უმთავრესია ეროვნული არმია, მისი შეიარაღება და დღევანდელ დონეზე მომზადება. ისრაელელები ამაყად აცხადებენ,რომ მათი 4—5 სამხედრო მფრინავი უდრის 10 საბჭოთა სამხედრო მფრინავს. ეს დაამტკიცეს კიდეც. განვლილ ომებში მოწინააღმდეგის 40 ჩამოგდებულ თვითმფრინავზე მოდის ისრაელის მხოლოდ ერთი თვითმფრინავი. ისინი უნიკალურ ოპერაციად თვლიან ერაყის ატომური ელქტროსადგურის უმსხვერპლო დაბომბვას, როცა ვირტუოზი ისრაელელი მფრინავების მიერ გაშვებულმა რაკეტებმა მილიმეტრიანი სიზუსტით მიაღწიეს მიზანს. სადარაჯო სისტემებისა და იარაღის შეძენის მეტისმეტად ძვირადღირებული პრობლემა რომ მოვაგვაროთ, სამხედრო სპეციალისტების თანამედროვე დონეზე მომზადების პრობლემას ერთსა და ორ წელიწადში ვერ გადავჭრით.

ზოგიერთები ამბობენ, საქართველოს ნეიტრალურ ქვეყანად გამოვაცხადებთ და ამით სამხედრო ხარჯებს თავიდან ავიცილებთო.

რასაკვირველია, დამოუკიდებელი საქართველო აუცილებლად ნეიტრალური ქვეყანა უნდა გახდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, სამხედრო ხარჯებს თავიდან მაინც ვერ ავიცილებთ. საილუსტრაციოდ მოვიტან შვეიცარიის მაგალითს. მოგეხსენებათ, შვეიცარია ნეიტრალური ქვეყანაა და ევროპის ყოვლად უშიშარ ადგილზე მდებარეობს. მიუხედავად ამისა, მას ჰყავს თავისი მოსახლეობის რაოდენობისათვის უჩვეულოდ დიდი და ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით შეიარაღებული არმია. ისინი სიამაყით აცხადებენ,რომ 48 საათში უნარი შესწევს 625000 ჯარისკაცი ჰყავდეს საბრძოლველად გამზადებული. ამოდენა არმის შენახვა ძალზე ძვირი ჯდება და ამიტომაც, ამას წინათ, შვეიცარიაში ჩაატარეს რეფერენდუმი, არმია საჭიროა თუ არაო. მოსახლეობის ორმა მესამედმა და ყველა პარტიამ (სოციალისტების გარდა) მხარი დაუჭირა არმიის შენარჩუნებას. უფრო მეტიც, შეშფოთებაც კი გამოთქვა, ყოველი ორი კაციდან ერთმა რატომ თქვა უარი არმიის შენარჩუნებაზეო. („იზვესტია“ 28.XI.89). დამეთანხმებით, თუკი ნეიტრალურ შვეიცარიას ევროპის შუაგულში სჭირდებქა არმია, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, მით უფრო დასჭირდება იგი დამოუკიდებელ საქართველოს“.

თუ ნებას დამრთავთ, ჩემს მაშინდელ ნათქვამს დღეს ზოგიერთ მოსაზრებებსაც დავამატებ. უფრო სწორად, გაშლილად მინდა დავხატო დღევანდელი ისრაელის სურათი. მაშინაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ ისრაელის მდგომარეობა და მათი სახელმწიფო მართვის ანალიზი, ვფიქრობ, არ გვაწყენს.

დავიწყოთ იმით, რომ ჯერ კიდევ გოლდა მეირმა თქვა: ისრაელის ყოველი მლქალაქე ჯარისკაცი არისო. ჩვეულებრივ, ისრაელს ჰყავს 172 ათასიანი მოქმედი არმია. მობილიზაციის შემთხვევაში მას შეუძლია სამ დღეში გამოიყვანოს 684 ათასი კაცი. ეს ხუმრობა არ გეგონოთ! გაიხსენოთ, რომ ისრაელის მოსახლეობა 4,2 მილიონი კაცია, ხოლო, აქედან ერთი მილიონი არაბია.

ისრაელის მთავარი კოზირია ავიაცია. ისრაელის ავიაცია უფრო ძლიერია, ვიდრე ერთად აღებული ინგლისისა და საფრანგეთის ავიაცია. ისრაელის სამხედრო მფრინავები უკვე აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო სამხედრო მფრინავებად. ამის დასტურია თუნდაც ისრაელის მიერ სირიის აეროპორტ ალ-ბეკაურება ანგარიშით 100:0 ან 193 თვითმფინავიდან ისრაელმა 80 საბჭოთა „მიგ-23“ აფრენამდე გაანადგურა. ისრაელმა ორბიტაზე გაიყვანა თანამგზავრ „სფეკი“, რომელსაც შეუძლია გადაკეთდეს ბალისტიკურ რაკეტად, რომლის მოქმედების რადიუსი იქნება 4500 მილი. მათვე აქვთ საშუალო რადიუსის რაკეტა „იერიქონი-2“ და, ვარაუდობენ, რომ ისრაელის არსენალშია ორასამდე ბირთვული იარაღი

რით მიაღწია ისრაელმა ამ წარმატებას?

გამოვყოფ სამ ფაქტორს.

1. დიდი ეკონომიკური შესაძლებლობანი. ისრაელის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან (ძირითადად ამერიკიდან) ეძლევა ყოველწლიური დახმარება 10 (ხანდახან მეტი) მილიარდი დოლარი.

2. ისრაელს ჰყავს მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერები, რომლებმაც სახედრო თუ სამშვიდობო დარგების ბევრ სახეობაში მსოფლიო პირველობა იგდეს ხელთ.

3. რკინისებური დისციპლინა და პასუხისმგებლობის გრძნობა. ამ მომენტს კარგად მინდა ჩაუფიქრდნენ ქართველები. თითქმის არ მოიპოვება ფაქტები, ისრაელში ვინმეს იარაღი შემთხვევით გავარდნოდეს და მეგობარი დაეჭრას. მკვლელობაზე და თანაც განზრახ მკვლელობაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია.

ისრაელში სირცხვილად ითვლება, თუ ახალგაზრდა არ მიჰყავთ (ძირითადად ავადმყოფობის გამო). ახალგაზრდები წეღეებზე ფეხს იდგამენ, ყალბ სამედიცინო ცნობასაც კი შოულობენ,რომ ჯანმრთელნი არიან, რათა ჩადგნენ სამშობლოს სამსახურში და, თუ საჭირო გახდება, [illegible]ლით დაიცვან იგი.

ესაუბრა

ფელიქს კოჟიაშვილი

გაგრძელება იქნება

დათო ცომაია



მაშინ, როცა საქართველო სისხლისგან იცლება ბოროტ ძალებთან ომში აფხაზეთის ფრონტებზე, როცა თითოეული ჩვენთაგანის ძალა და სიცოცხლე გამარჯვებისათვის უნდა იხარჯებოდეს, ამ დროს ზურგში, უკეთური თანამემამულის ხელით უმოწყალოდ იღუპებიან ჯანსაღი ახალგაზრდები.

უკანასკნელი ცნობით, აფხაზეთის ომმა შეიწირა ექვსასი ქართველი. მაგრამ ვინ აღრიცხა, თუ რამდენი მოკლეს იგივე პირიოდში სამშვიდობოს?

დათო ცომაია 23 ნოემბერს, გიორგობა დღეს სასიკვდილოდ დაჭრა გონებადაბნელებულმა თანამემამულემ...

დათო ცომაიას 20 დეკემბერს 23 წელი უნდა შესრულებოდა, 1993 წელს უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი უნდა დაემთავრებინა, ქვეყნის სასიკეთო საქმეებზე უნდა დაეხარჯა თავისი ნიჭი და ენერგია, ადამიანებისათვის— მოსიყვარულე გული...

კაენის სულმა მას ამის საშუალება არ მისცა.

მეგობრები

ამ წიგნში თავმოყრილია სკანდინავიელ-დანიელ, ისლანდიელ, ნორვეგიელ და შვედ — სიტყვის ოსტატთა კრიტიკულ-ესთეტიკური ნააზრევის ცალკეული საუკეთესო ნიმუშები. ესაა საერთო ევროპული ესთეტიკური ნაკადის განუყოფელი ნაწილი, და ამიტომაც სამაგალითოა ჩვენი დღევანდელი ლიტერატურული აზროვნებისათვის. საგულისხმოა, რომ რამდენიმე სახელგანთქმული მწერალი, მათ შორის დიდი დანიელი მოაზროვნე სიორენ კირკეგორი, პირველად ამეტყველდა ქართულად.

„სკანდინავიური ესეები“ თარგმნა უჩა შერაზადიშვილმა.

საზღვარგარეთის ქვეყნებში სწავლის გაგრძელების მსურველთა საყურადღებოდ!

გეძლევათ შანსი, გაიაროთ რეგისტრაცია და გახვიდეთ აშშ-ს საელჩოს TOEFL-ის გამოცდაზე 1993 წლის 3 აპრილს ქ. ერევანში.

მსურველებმა მოგვაკითხონ TOEFL-ის მოსამზადებელ კურსებზე ქ. თბილისში, იმედაშვილის ქ. N 4 (გაგარინის მოედანთან), № 123-ე საშ. სკოლაში 11 დან 25 იანვრამდე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 15 საათამდე. შენიშვნა: 25 იანვარს, ორშაბათს, 13 საათზე ჩატარდება საკვალიფიკაციო გამოცდა.

გასწორება

მ. მახარაძის წერილში „მართლაცდა რა ჰქვია ამას?!“ (გაზ. „საქართველო“ №1) გაზეთის მეოთხე გვერდის პირველი სვეტის პირველ აბზაცში ბოლო წინადადება უნდა იკითხებოდეს: „ნურც ის დაგვიწყდება, რომ 1918 —1919 წლებში მესხეთში ქრისტიანი ქართველების მასიურ ჟლეტას სწორედ თურქეთში განათლებამიღებული მაჰმადიანი ქართველები ხელმძღვანელობდნენ“.

ინდექსი 66447

ფასი 9 მან. 50 კაპ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუშკინის ქ. 5
ტელ: რედაქტორი: 93-20-36, მოადგილე: 93-18-41.
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საბაზეთო კოტეჯსში, ხოშარაულის 29

გაზეთი იწყობა კომპიუტერზე მსოფლიო ლაბორატორიის საქართველოს განყოფილებაში 1991 წლის დეკემბრიდან

რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი